ამჟამადელი მდგომარეობით, სოფლად გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე ქალაქად, მაშინ, როდესაც ადრე პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1975 წელს, როდესაც ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა გათანაბრდა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად 45 ათასი ბავშვი დაიბადა. 2007 წელს კი ქალაქად 34,3 ათასი ბავშვი დაიბადა, ხოლო სოფლად მხოლოდ — 14,9 ათასი ბავშვი. 2008 წლის შესაბამისი მაჩვენებლები 39,2 ათასსა და 17,3 ათასს უდრდა. ამასთან, შობადობის დონე ქალაქად ორჯერ მაღალია სოფელთან შედარებით. კერძოდ, 2009 წელს ქალაქად მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით 18,7 ბავშვი დაიბადა, ხოლო სოფლად — 9,5 ბავშვი.

შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის მატების შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი მატებაც და განსაკუთრებით — სოფლად. ამ მოვლენას ნათლად გვიხსნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი 1997-2004 წლების მონაცემებით. (იხ. ცხრილი №4).

**სოფლად გარდაცვალების შემთხვევები გაცილებით მეტია, ვიდრე დაბადების შემთხვევები, განსაკუთრებით ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. მხოლოდ აჭარაში სოფლად მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება. დანარჩენ, ქართველებით დასახლებულ რეგიონებში, სოფლად ყველგან უკლებლივ მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა.** ასეა თითქმის ყველა რაიონში. საქართველოში გამოსაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საჩხერის რაიონი, სადაც საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, საცხოვრებელი პირობების არსებითი გაუმჯობესების კვალობაზე როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობაც განუწყვეტელი იზრდება. მაგალითად, 2005-2010 წლებში საჩხერის რაიონში სოფლის მოსახლეობა 846 კაცით გაიზარდა, ხოლო მეზობელ ჭიათურის რაიონში სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი კლება ჰქონდა ადგილი — 990 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობა ისეთივე სიდიდით რომ გაზრდილიყო, როგორც საჩხერის რაიონის სოფლის მოსახლეობა გაიზარდა, მაშინ ქვეყნის სოფლის მოსახლეობა მარტო 2010 წელს 16 ათასი კაცით გაიზრდებოდა.

**დასასრული შემაჯობ ნომერი**

მუნიციპალიტეტები	2006	2007	2008	2009	სულ ოთხ წელიწადში
ბაღდადის	-147	-84	-106	-102	-439
ვანის	-170	-121	-124	-87	-502
შესტაფორის	-169	-41	-136	-116	-462
თერჯოლის	-239	-127	-186	-149	-701
სამტრედიის	-70	-61	2	36	-93
საჩხერის	24	181	149	147	501
ტყიბულის	-109	-95	-92	-61	-357
წყალტუბოს	-120	-92	-62	-69	-343
ჭიათურის	-272	-139	-236	-199	-846
ხარაგაულის	-132	-100	-126	-117	-475
ხონის	-63	-66	-12	5	-136



www.geworld.net  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ალბათ, თქვენს გაზეთში გამოქვეყნდება კრიტიკული წერილი, მაგრამ ბატონ კორახაშვილს არ ანუხებთ პრესის პუბლიკაციები. რამდენჯერ დაინერა, რა არ უნოდეს, მაგრამ ვითომც არაფერი — წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდის, რადგან ამ პუბლიკაციებს არავითარი რეაქცია არ მოსდევს. ვილატები, მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიაში, მხარს უჭერენ და ავრცელებენ ხმას, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. როგორაა ტყუილი, როცა საქმე ალტრული?!”

# კედელს შეყრილი კავსულირებულ თესლი, ანუ გრანტიჭამია პროფესორი კორახაშვილი

არაფერი რომ არ არის დაფარული ამქვეყნად, ჭეშმარიტებაა. მაგრამ დაუფარაობა არაფერს რომ არ ნიშნავს, ფაქტია. ეს დასტურდება თუნდაც გრანტიჭამია პლაგიატორის, ბიძინა კორახაშვილის, ისტორიით. ეს ამბავი ჯერ კიდევ 2005 წელს გახმაურდა, მაგრამ რად გინდა? შეყარე კედელს ცერცვი, ამ შემთხვევაში, მეცნიერულად თუ ვიტყვი, კავსულირებული სათესლე მასალა.



2005 წლის „ჯორჯიან ტაიმსის“ 1 სექტემბრის ნომერში ჟურნალისტი სოფო ედიბერიძე წერდა: „ავთანდილ კორახაშვილმა დოკუმენტების გაყალბებით მსოფლიო ბანკიდან 50 ათასდოლარიანი გრანტი მიიღო“ და იქვე იმონებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიძის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ბიძინა კორახაშვილს**: „ავთანდილ კორახაშვილმა ზეპირად, ექსპერიმენტის ჩატარების გარეშე შეთხზა, შეცდომაში შეიყვანა „საქპატენტი“ და უკუღმართი გზით მიიღო პატენტი ონკულირების (კავსულირების) მეთოდზე, რომელსაც (პატენტი) არავითარი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნია. აღნიშნული პატენტის მიხედვით, თესლის ონკულირება (კავსულირება) შეუძლებელია“ (50 ათასდოლარიანი გრანტის პარლამენტის ვიცესპიკერი ლობიერებს“).

კავსულირება მიზნად ისახავს აზოტოვანი სასუქის მარცვალზე დარჩენას, რათა მცენარე თანდათანობით იკვებოს სასუქით. მეცნიერების დასკვნით, ეს მეთოდი სასუქის ეკონომიისა და მცენარის ზრდის სტიმულირების საშუალებაა. ახლა კი — თემა კრიმინალური. ბატონი გივი პაპავა აცხადებს, რომ პროფესორმა კორახაშვილმა მოისურვა, ეს მეთოდი გაეცემოდა პარკოსან მცენარეებზე და დახმარებისთვის მას, პაპავას, მიმართა. ეს უკანასკნელიც უშუალოდ ეხმარებოდა თესლის დამუშავებაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში და ა.შ. „ამ ყველაფერს ისე ვაკეთებდით, რომ მან არც იცოდა, რა და როგორ კეთდებოდა. უზრალოდ, მზა პროდუქციას ვაძლევდით. როგორც შემდგომში გაირკვა, მან ამით უსინდისოდ ისარგებლა, შექმნა ახალი პატენტი, რამაც მხოლოდ ციფრები შეცვალა...“ („საქართველოს რესპუბლიკა“).

## როსა, რაზან ვდავოვ, ისეთი ჭეშმარიტებაა, ღმერთი რომ ჩამოვიდეს, კორახაშვილს ვერ გააბარებ

ბული ვარო. თუ საქმე დახურო, ვის რა უფლება აქვს, მე არ შემატყობინოს და ისე შეწყვიტოს საქმე?! თან როგორ დახურავენ საქმეს, როცა, რაზეც ვდავოვ, ისეთი ჭეშმარიტებაა, ღმერთი რომ ჩამოვიდეს, კორახაშვილს ვერ გაამართლებს. — პატენტი ვინ გააფორმა? — ჩვენ ერთობლივად გავაფორმეთ პატენტი. არ უნდა შემეყვანა, მაგრამ ანგარიში გავუწიე კოლეგას, რომელიც სადოქტოროს იცავდა და დასწრებოდა. ამ პატენტის საუძველზე მან ახალი პატენტი დაწერა ისე, რომ არავითარი ექსპერიმენტი არ ჩატარებია, ზეპირად შეთხზა, ციფრები შეცვალა. ასეთი შეცვლა, როცა ექსპერიმენტს ვერ ფლობ და გგონია, კარგს აკეთებ, საბოლოო ჯამში გამოდის სისულელე. ისეთი სისულელებითაა სავსე მისი პატენტი, რომ მერვეკლასელსაც კი შეერცხვება წაკითხვა. აბსოლუტურად უვიცი ადამიანის დაწერილია. მაგრამ შეძლო და შეცდომაში შეიყვანა საქპატენტი.

წარმოდგენა არ მქონდა. ეტყობა, მას უთხრეს, პატენტი გააკეთე და ამ პატენტის საფუძველზე მოგცემთ გრანტსო. — გარიდგენ? — ვერ გეტყვი. — მიღებული 50 ათასი დოლარი გამოყენებით, მას რაღაც სამუშაო უნდა შეესრულებინა. გააკეთა რამე? — ვითომ გააკეთა, ვითომ პეტრობით დათესა კავსულირებული თესლი, მოსავალი მიიღო თითქოს. მაგრამ, როგორც თქვენ არ დაგითესიათ, ისე მას არ დაუთესია. როგორ დათესავდა, როცა კავსულირებული მარცვალი არ ჰქონდა?! კავსულირება კეთდებოდა მხოლოდ ჩვენთან — ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში და სხვაგან არსად საქართველოში.

ეტი და გაბაზებული სასამართლო. — ესეც ახდენილი ზღაპარი — ბელტიყლაპიდან გრანტიყლაპამდე... — ახლა კი აკადემიის წევრობას აპირებს. — ფიქრობთ, რომ გახდებ? — კი, კი. ამბობენ, რომ გამართლდაო. ვინ გაამართლა, როგორ გამართლდა?! ეს ყველაფერი ტყუილია. როგორ შეიძლება იმის გამართლება, რაც აბსურდია?! მისი აკადემიკოსად გახდომა დიდი შეურაცხყოფა იქნება თვით მეცნიერებათა აკადემიის და საერთოდ ქართული მეცნიერების. — პიროვნებას, რომელიც აკადემიკოსობაზე წარდგენილია, დახასიათებები და რეკომენდაციები არ უნდა მიჰყვებოდეს? — ალბათ, ვილატას სთხოვა და დაანერჩინა რეკომენდაცია. კი არ დაანერჩინა, თვითონ დაწერდა და ხელს მოაწერინებდა. მე როგორც ვიცი, გადაწყვეტილია მისი საკითხი, უნდად, რომ აირჩიონ აკადემიის წევრად.

გივი რესპონდენტი, ოღონდ ამჯერად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, კვლავ ხაზგასმით ადასტურებს თავის პოზიციას: „ამ პატენტის მიხედვით, კავსულირება შეუძლებელია... კორახაშვილს არავითარი ექსპერიმენტი არ ჩატარებია და არსებული აქტები, რომლებშიც თითქოს 30 ტონამდე კავსულირებული თესლი დამზადდა და დაითესა, ყალბია. რა გინდა, გრანტის შესრულებისთვის გამოყოფილი 50000 დოლარი კი ჩაივიდა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წლის 18 აპრილი, №77-78, ოთარ ხუციშვილი, „გრანტიყლაპია ვაიმეცნიერი და გაბაზებული სამართალი“).

სანამ პლაგიატობასა და გაყალბებაზე გავაგრძელებთ საუბარს, გავარკვიოთ, რას ნიშნავს თესლის კავსულირება, ისეთი რა მნიშვნელობა აქვს, რომ მის დასაწერებად სოფლის მეურნეობაში 50-ათასიანი გრანტს არ იშურებენ? ირკვევა, რომ მარცვლის, ძირითადად, ხორბალის

არ დარჩენილა ინსტანცია, რომლისთვისაც არ მიმობრთავს. პრეზიდენტს მივმართე ექვსჯერ. — შედეგი? — არავითარი. არავითარი გამოცხადი. მერე დავანებე ამ საქმეს თავი. ხომ არ გადაეყვებოდი. ახლა კი კორახაშვილი აცხადებს, მე გამართლდები,

წევრ-კორესპონდენტი გახდა მაშინ, როცა წინა დღით, 2009 წლის 18 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით „ელიტარული კორუფცია“ დაიბეჭდა წერილი „გრანტიყლაპია ვაიმეცნი-

რა არის, იცით? ალბათ, თქვენს გაზეთში გამოქვეყნდება კრიტიკული წერილი, მაგრამ ბატონ კორახაშვილს არ ანუხებთ პრესის პუბლიკაციები. რამდენჯერ დაინერა, რა არ უნოდეს, მაგრამ ვითომც არაფერი — წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდის, რადგან ამ პუბლიკაციებს არავითარი რეაქცია არ მოსდევს. ვილატები, მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიაში, მხარს უჭერენ და ავრცელებენ ხმას, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. როგორაა ტყუილი, როცა საქმე ალტრული?!”

ყოველკვირეულ „ქრონიკაში“ (№8, 03.03.2013 წელი) ამ თემას განავრცობს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი **მანანა ცინცაძე**: — წლების განმავლობაში უამრავჯერ შემოვიდა საქართველოში „მილენიუმის“ პროგრამით გრანტი, მაგრამ მის განხორციელებას მუდმივად ერთსა და იმავე ადამიანებს ავალბებდნენ... კონკურსში ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ არჩევანი სულ ერთსა და იმავეზე ჩერდებოდა. 8 და 9-ჯერ აქვთ ამ ადამიანებს თანხა აღებული. გრანტი ჩართული ადამიანები ბედუქიძის მფლობელობაში გადასული, აგრარულ უნივერსიტეტში ჩარჩენილი თანამშრომლები არიან“. ქალბატონი მანანა ასეთთა შორის პირველს ბიძინა კორახაშვილს ასახელებს.

და ამის შემდეგ დგება ჭეშმარიტების მომენტი, ფარდა ეხდება კრიმინალს, გნებავთ, კორუფციას, რომლის არსი ბანალურ ფულს „მოტყევაში“ გამოიხატება. რესპონდენტი დაბეჯითებით ამბობს: „ვერ დაასახელებენ და ვერ მაჩვენებენ გრანტი განვითარებულ ერთ ობიექტსაც... არც ერთი დარგი ამ დაფინანსების შემდგომ არ განვითარებულა. ფული აითვისეს, შეჭამეს და დაასრულეს საქმე. იქ, სადაც რეალურად 500 ლარი იყო დასახარჯი, დახარჯულია 100 ლარი და ა.შ.“

**დაბოლოს: „ახლა ფულის გასათვრებლად ამ ხალხს შორს წასვლა აღარ დასჭირდება, რადგან ასეთ გრანტს პირობებს აქვე, სოფელ კრანისში, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის საცდელ სადგურთან აკეთებენ, რომელიც, როგორც აგრარული უნივერსიტეტის საკუთრება, ხელში აქვს ჩადგებული ბენდუქიძეს“.**

**სერიოზული ბრალდებაა. კრიმინალიც აქაა, ეტყობა, დაბუდებული, და პროკურატურამაც ფხა უნდა გამოიძიოს, გამოიძიოს, როგორც „ტყევენი“ გრანტების ფულს მეცნიერებად წოდებული და ბენდუქიძის ზურგს ამოფარებული გრანტიხეველები. თუ აქაც კოალიციის ვაპირებთ სააკაშვილისეული კორუფციის წარჩენებთან? პარამონიზაციას?**

ესაუბრა არამაზ სანაბლიძე



თქვენი „შეწყნარებლობის“ ფონზე, რა იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ, რომ ჯეროვნად გამოიკვლივით უკანონო გადაწყვეტილებებს და სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებთ?!


ლერი ალიმონაძე:

# გთხოვთ, მიჩიოთ — როგორ ავბაღლდე თქვენს დიდსულოვნებაზე და როგორ შევიწყნარო «მსხვერპლი» ხიზანაიძე?!

## ღია წერილი მთავარ პროკურორს, ბატონ აჩილ კვიციანი

**ბატონო არჩილ!**  
პირადად არ გიცნობთ, თუმცა ვერძნობ, კეთილშობილი ადამიანი ბრძანდებით. ინტერესით გისმენთ ხოლმე. მაგრამ 30 მარტს, ყურნალისტებთან შეხვედრისას, თქვენგან რაც მოვისმინე, დაუფარავად გეტყვით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ ღიად და რამდენიმეგზის გააცხადეთ თქვენი პოზიციები ადგილობრივი დროინდელ პროკურორებზე, რომ ისინი არიან რეჟიმის „მსხვერპლი“, „გამტარნი“, ამ „მსხვერპლთა“ მიმართ თქვენს „შემწყნარებლობაზე“ და სხვა ამგვარები.

ანულ-მართლმადიდებლური რელიგია გმობს ბოროტად ბრძოლას — ისევ ბოროტება რომ არ გავამრავლოთ, მაგრამ წმიდა წერილში არსად წერია, რომ არა განვეშოროთ ბოროტს, რომ არა განვიშოროთ ბოროტი. ხოლო თუ ჩვენ ამას არ ვიქმთ, მაშინ ჩვენ, ყველანი, გვინდა ეს თუ არა, ბოროტის თანამონაწილენი შევიქმნებით.



ლერი ალიმონაძე

**«მსხვერპლად» მონათლულა თქვენგან «შეწყნარებულა» რაღაც ოთხასიოდე პროკურორმა საქართველოს მოქალაქეთა შეიტანსომა მართლაც რომ მსხვერპლად აქცია.**

მეც ღიად გეტყვით: თქვენ ფუნდამენტური შეცდომა დაუშვით, ეს თქვენ გინდოდათ თუ არა, ცნობიერად თუ არაცნობიერად. იქნებ თქვენ ბრძანით, ვინმე სხვა მაც — რა მოხდა მერეო! ჩვენ ხომ გვიყვარს ამგვარი გამოთქმები: „მერე რა მოხდა!“ „რა უჭირს მერე!“... თუმცა არც ისე მარტივად არის საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ჩვენ ხომ, რაც ღრმად და ძნელად შესაცნობელი, ყველაფერს გაზვიადების, გადაჭარბების სახელით ვნათლავთ. ხოლო როდესაც მოინება დრო და ძნელად შესაცნობელ რეალობაში გაცხადდება, მერე ვიცემთ თავში ხელს, თუმცა დაგვიანებით. მე არ ვისურვებდი, ამ მოლოპულ გზაზე თქვენ დადგომას, რადგან დაცემა გარდაუვალია. ამგვარი მიდგომები ის ცრუ წარმოდგენებია, რომელთაც თქვენში, იქნებ ჩემშიც და მთელ საზოგადოებაშიც ღრმად გაუდგამს ფესვები, ის იმ გაძრუებულ შეხედულებათა დანალექებია, რომელთა ჩხრეკაცა და ანალიზიც ახლა შორს ნავიცივანს.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ სამართლიანობის აღდგენა უცებ არ მოხდება, რომ ეს პროცესია, რომ ათასობით უკანონო გადაწყვეტილება ერთბაშად ვერ განიხილება, რომ ამას სჭირდება რაღაც სტრუქტურების ჩამოყალიბება, გამოწვლილივით გამოძიება, დრო მოძიება, დრო. ყველაზე უნდა გავიხსენიოთ, უნდა გავხსენიოთ, რომ ის ჩვენგან რაღაც პირადულს დათმობასაც მოითხოვს, რაღაც პირადულს თვისებასაც. მე კი მიჩვენებ, რომ (თუ ვცდები, მომიტყევთ) თითქოს თქვენ თქვენი კეთილშობილების დათმობა გენანებათ, ვერ ელევით მას. წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ამის გაგება შესაძლებელია, მაგრამ, როდესაც თქვენკენ მოპყრობილია განაწამები, ღირსებააყრილი, რეპრესირებული ათასობით ადამიანის თვალი, რომელთაც წლების განმავლობაში უსამართლობის ეკლიანი როზგებით თავპირს უსისხლიანებდნენ (როგორც პირდაპირი, ისე მეთაფორული მნიშვნელობით), იმ იმედით, რომ იქნებ ბოლოს და ბოლოს აღდგეს სამართლიანობა, დამნაშავე პროკურორებისადმი თქვენი შემწყნარებლური პოზიციების გაცხადება, ნამდვილად გაუგებრობაა. თქვენ ისეთი გულაჩუყებით, ისეთი გულმხრეობით თქვით, რომელიც და მდინაშავე პროკურორის საქმე რომ აღუძარიოთ, კინაღამ თვალზე ცრემლი მომერია. მე რადიკალიზმისკენ არავის მოვუწოდებ — ეს დამლუპველია. მაგრამ არც ზომიერების სურვილში აღრეული კონფორმიზმი მოგვიტანს რაიმე სიკეთეს.

**«მსხვერპლად» მონათლულა თქვენგან «შეწყნარებულა» რაღაც ოთხასიოდე პროკურორმა საქართველოს მოქალაქეთა შეიტანსომა მართლაც რომ მსხვერპლად აქცია.**  
სწორედ ამიტომ არის, რომ სამართლიანობის აღდგენას ის ადამიანებიც მოუთმენლად ელიან, რომელთაც უშუალოდ არ შეხებიათ რეჟიმის სუსხი. და სწორედ ესაა ურთიერთ-ტოლერანტობა, პირის შეკვრა ბოროტის საპირისპიროდ. ამგვარი ეთიკური ტენდენციები აღორძინებს ერს და იხსნის მას გადაშენებისგან.  
ამასწინათ ერთი დარბაისელი ქალბატონი შემოვიდა „ობიექტივში“, აღელვებული ყვებოდა, როგორ გადაეყარა სასამართლოში მისი შვილის უკანონოდ დამტყრ პროკურორის (მგონი, ქორიძეს) და როგორ ნიშნისმოგებითა და ქედმაღლურად დაელაპარაკა, ქალბატონმა ისიც დაუმატა, — მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, სადაც გადავეყრები, რაღაცას დავმარტო! აი, რა სახიფათოა ზრამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი თქვენმა „შემწყნარებლობამ“! არ გამოვირცხავ, ამ გამწარებულ ადამიანთა წინაშე აკუმულირებულმა შურისძიების ბნელმა ინსტიტუტებმა იფრთხოს. და თუ ამას რა შეიძლება მოჰყვეს, ეს თქვენთვის არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი. მერედა, ამ ახალ დანაშაულებზე ვინ აგებს პასუხს? თქვენ?!

თქვენ გაქვთ სრული უფლება, შეიწყნაროთ, ვინც გნებავთ, თუნდაც თქვენთვის ზიანის მომტანი ადამიანი, მაგრამ მომიტყევთ და, თქვენ რა ხელი გაქვთ, ჩემი განამებულ ცხოვრების ხარჯზე, შეიწყნაროთ პროკურორი ხიზანაიძე, რომელმაც შვილი უნდაშაულოდ ციხეში გამოიმწყვდია, სიცოცხლე გაუმწარა, ანამა, ჯანმრთელობა შეურყვია, ცხოვრების საუკეთესო წლები მოჰპარა?! მიუხედავად იმისა, რომ შვილი პატიმარი გვყავდა, თავი სოროში არ შეგვიყვია, რეჟიმს ვუპირისპირდებოდით, სიკვდილს თვალში ვუყურებდით. როდესაც ოპოზიციის აქციებში სისტემატიური მონაწილეობის გამო ჩემი მეუღლე, ძველი დისიდენტი, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში ადამიანის უფლებებს იცავდა, სამსახურიდან — პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიდან — უპარდონოდ დაითხოვეს. კომიტეტი იმჟამინდელი თავმჯდომარე შეფარვით დამეუქრა, — ახლა მთავარია, შენს შვილს ციხეში პრობლემები შეუქმნათო. სწორედ იმავე წელს, 2010 წლის შემოდგომაზე გიორგის მიმართ სასტიკი წამების მეთოდები გამოიყენეს, რამაც საკვალალო შედეგები გამოიწვია. რაღაც სასწაულის ძალით ვინხენით შვილი ლეტალური შედეგისგან. და ეს ხდებოდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ჩვენი ოჯახი სამართლებრივად რეპრესირებული აღმოჩნდა, სოციალურადაც, რაც მთავარია, პოლიტიკურადაც. ეს ყველაფერი კარგად უწყის.  
და ყოველივე ამის შემდეგ, მე თქვენ მოგმართავთ და გთხოვთ, მიჩიოთ, — როგორ ავბაღლდე თქვენს დიდსულოვნებაზე და როგორ შევიწყნარო „მსხვერპლი“ ხიზანაიძე?! კვლავაც ხიზანაიძეს და ძმათა მისთა უნდა შევნიროთ ქართული მართლმსაჯულების ავტორიტეტი?! ეგენი, ბნელ საქმეთა გამო, ადგილობრივი ხელშიც „შემწყნარებულნი“ იყვნენ, ხოლო დღეს, „მსხვერპლებად“ მონათლულთ, თქვენ „ინცენარებთ“, სად ვეძიოთ განსხვავება?! გამოდის, ჩვენ ვყოფილვართ დამნაშავენი, ჩვენ ვყოფილვართ მათი „მსხვერპლად ქვევის“ მიზეზნი! გაგვარკვიეთ, იქნებ ჩვენ გვმართებს მათ წინაშე მუხლის მოყრა და პატიების თხოვნა?!

**მხოლოდ ერთი ვიტყვი:**  
აქ ხიზნი პროკურორულად თქვენში კი არ ძვეს, არამედ ჩვენსავე ძველად ჩამოყალიბებულ ცრურწმენებში. კომუნისტების დროიდან გამუდმებით ერთი სიტყვა მზაფრავდა განსაკუთრებით: „საქმის ჩაფარცხვა“... რადგანაც მაშინაც მჯეროდა, რომ „ჩაფარცხვა“ დანაშაულს სჭირდებოდა, დანაშაულს „ფარცხავდნენ“ და არა უდანაშაულობას, ანუ სიმართლეს. მომიტყევთ და თქვენი ამჟამინდელი „შემწყნარებლობა“ იმჟამინდელ „ჩაფარცხვას“ მაგონებს (რატომ, არ ვიცი). მე კი, მერწმუნეთ, არავითარი სურვილი არ მაქვს, თქვენ დამნაშავე, ბნელ საქმეთა „ჩაფარცხველის“ როლში აღმოჩნდეთ.  
მართალია, ჩვენი ქრისტი-

**ყველა ადამიანი თვითონ ირჩევს ცხოვრების გზას, თავად აკეთებს არჩევანს. ადგილობრივი დროინდელმა პროკურორებმა თავადვე გააკეთეს არჩევანი უკანონობასა და კანონიერებას შორის, უსინდისობასა და სინდისიერებას შორის და მათ მიმართ რაიმე შემწყნარებლობაზე**

ბატონო არჩილ, მინდა ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეიტანო, მერწმუნეთ, თქვენდამი მხოლოდ და მხოლოდ კეთილგანწყობა, თანადგომა, პატივისცემა მამოძრავებს. ხოლო, რაც შეეხება „მსხვერპლად“ მონათლულ პროკურორებს, ისინი მე მაგონებენ დოსტოევსკის ერთ პერსონაჟს „ძმები კარამაზოვებიდან“ — პაველ სმერდიაკოვს, რომლის დევიზიცაა: „Нет Бога, все дозволено!“  
ბატონო არჩილ, განიშორეთ სმერდიაკოვები!  
**ულრმესი პატივისცემით,**  
**ლერი ალიმონაძე**



# რატომ აძლევს საია თავს ამდენი უფლებას? პასუხი მარტივია — იმიტომ, რომ გასდის! და რომ გასდის, იმიტომაც აძვს თავში ავარდნილი!

# აბუნდოვანი საია

მაშ ასე: ა. წ. 28 მარტს ბათუმში საიას ნასვამმა(!) მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები, შექმნა საავტორო სიტუაცია და აგდებულად ელაპარაკა პოლიციის სამმართველოს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილ უფროსს, რომლის მანქანასაც კინალამ დაეჯახა. მიუხედავად იმისა, რომ სამმართველოს უფროსმა მას თავი წარუდგინა, საიას მძღოლს არც ბოდიში მოუხდია და არც გამოწვევად დააპირა შეუწყვეტია, რის გამოც უფროს პოლიციელს მისთვის სათანადო პასუხი გაუცია და ფიზიკური ძალის გამოყენებით მისი პოლიციის განყოფილებაში წაყვანა მოუწოდებია. ამ განცხადებაში მძღოლს სახელი ჩამორღვევია მცირედ. ეს არის და ეს მთელი ისტორია, რასაც მოჰყვა, მაგრამ რა მოჰყვა: საიას მხრიდან საკუთარი მძღოლის „უფლებების დაცვა“, ფაქტობრივად კი — სამარცხვინო და პროვოკაციული ქმედებები (ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ), რითაც მან თავისივე ხელით ჩამოიხსნა დემოკრატიისთვის მებრძოლის ნიღაბი და ყველამ დავეინახეთ ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წამდელი სახე, თუ ვის ინტერესებს ემსახურებოდა იგი ადრე და ვის სამსახურშია დღესაც.



მართალი, ვილაცის ინტერესებზე მორგებული პროვოკაციული საქციელი. ვის ვის და, იურიდიული განათლების მქონე პირებს კარგად მოეხსენებათ, თუ რა შემთხვევებში იყენებენ მთავარიდან მეორეხარისხოვანზე გადართვის მეთოდს.

**თუ ვის ნისკვილზე ასხამს ამ აშიოტაშით წყალს საიას თავმჯდომარე კოჭორიძე, ძნელი მისაზრდარი არ არის, და ჩვენი მიხედვით მისმა ბაძვამაქსთან ფარულმა შეხვედრამაც დაადასტურა.**

ეს შეხვედრა აღარ მოგვეჩვენებია იმდენად გასაკვირი, თუ გვეცოდინება, რომ კოჭორიძე „მამალ“ ნაციონალ გიგი თევზაძესთანაც თანამშრომლობს ილიას უნივერსიტეტში 2009 წლიდან (27 წლის ახალგაზრდებს კი ერთგულებაზე „ნაცების“ მკაცრი ტესტის ჩაბარების გარეშე ილიას უნივერსიტეტში ლექტორებად არ იღებენ!).

**რაც ამ თითიდან გამონოვიღო „პრობლემაზე“ საიამ, მედიაში, ტელევიზიაში, ხელისუფლებამაც დრო დახარჯეს, იმის მესხვედრა არ იხარჯება ქართველი ერის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემაზე დადასტურებაზე, როგორცაა: მინების, წყლების, ტყეების, ნიადაგის სიმდიდრეების გასხვივება უცხოელთაზე, თურქეთის არნახული ექსპანსია ბათუმში ჩვენივე ხელი-სუფლების — ძველის და ახლის ხელმეწყობით(!) წარმოებული, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაუფარავი პრეტენზიის გაცხადება ბათუმში, მესხეთელი თურქების ჩამოსახლება, რეგიონული ენების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაცია (ზოგ ქვეყანაში ჩამოსახლება, რეგიონული ენების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაცია უფრო უარესისგან ვიყოფიერებდა მართალია, ნებისმიერ უარყოფით მოცუვნას (ბუნებაში თუ საზოგადოებაში) მცირე დადებითი მხარეც გააჩნია, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია და ყველაფერი ხომ უარყოფითია არსებობს. ამიტომ ბუზის სპილოდ წარმოჩენა არასოდეს და არსად არ არის გამართლებული (ობიექტურობა თითქმის იმდენივეა მცირეა, რამდენივეა ცხელი ალემატეა ბუზს), მით უფრო, დღევანდელს მთავარ საზოგადოებრივ საკითხს, ანუ უფროსს, სადაც ამდენი პროვოკაცია (სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური), ყურადღების მიქცევა უნდა დაეხმარებინათ, რომ ხარჯავდეს საია თავის ენერჯისას, მაშინ აღარავის მოუტრიალდებოდა ენა მის გასაკვირიკებად.**

საიას (და სხვებისაც) შემყურე, აუცილებელია ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებზეც ვთქვათ ზოგადად. ყველა მსგავსი ორგანიზაცია ე.წ.-ია, რადგანაც არასამთავრობო (!) ნოდებული ორგანიზაცია არ უნდა ფინანსდებოდეს არც საკუთარი და არც უცხო სახელმწიფოს მთავრობისგან. იმის თქმაც კი ძნელია, თუ რომელი ვარიანტია უარესი! ჩვენთან ორივე ნაირსახეობა იყო გავრცელებული (ფა-

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ მოქცეოდა სააკაშვილის დროინდელი პოლიცია ანალოგიურ სიტუაციაში. ნასვამ მძღოლს, რომელმაც დაარღვია მოძრაობის წესები და თან პოლიციის უფროსსაც „აუხტა“, აუცილებლად ჩატენიდნენ მანქანაში, პოლიციაში კარგადაც „დაზედენენ“, ოპერატიულად გაასამართლებდნენ პოლიციელისთვის წინააღმდეგობის განხორციელებას და 400-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად (რაც საიას მძღოლს დააკისრეს) ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს რამდენიმე წლით!

მეორე მაგალითი. როგორ იმოქმედებდა პოლიცია ე. წ. დემოკრატიულ ქვეყანაში, მაგ. ამერიკაში. პირველი, რასაც პოლიცია გააკეთებდა, ასეთ მძღოლს დაადებდა ბორკილებს (გამომწვევად ქცევის მიუხედავად!); სულ მცირე, ერთი დღით ან ბევრად მეტით ჩასვამდა ციხეში (აქ უკვე ქვეყანა გაჩნდა!), გადამხდებდა უზარმაზარ ჯარიმას და ერთი წლით ჩამოართმევდა მართვის უფლებას (კიდევ სხვა, შედარებით წვრილმანი სანქციებიც იქნებოდა მიღებული). პოლიციელს (პოლიციელებს) რა? არც არაფერი, შეიძლება მადლობაც გამოეცხადებინათ!

ეს მაგალითები ძველი და ახალი პოლიციის (მერაბიშვილისა და ლარიბაშვილის) ან ახლის და ამერიკულის შესადარებლად არ მომიყვანია, ეს მხოლოდ საიას ახლანდელი და ძველი ქმედებების შესადარებლად მჭირდება, ასეთი შედარებითი ანალიზი აუცილებელია. **ძალიან თავს კი დებენ ოკიპატორებსაც „ახალგაზრდა იურისტები“, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის ცხრა წლის მანძილზე არც ერთი მისი უცდამათ ასეთი აშიოტაჟის ატეხვა გავიწყობს მძღოლს იმდენი.**

**დინტში, როდესაც სრულიად უდანაშაულო ხალხს პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხორციელების ბრალდებით პირდაპირ ციხეში უკარავდნენ ხოლმე თავს.**

ახლა კი რას ვხედავთ: საიამ იმიშვლა „დემოკრატიის“ მახვილი და, დაცვის ნაცვლად (რაც ჩირის დასაცავი), შეტევაზე გადადის, ლარიბაშვილის უწყებას უტყუებს, თან გაიხარის: ჩვენ მხარე არა ვართ, ჩვენ სიმართლეს ვემსახურებითო. ერთი მაგალითი მაინც გავახსენებ ძველი ან ახალი დროიდან ანალოგიური მსახურების!

ერთი სიტყვით, ისე ატყდა საია, რომ მართლა ატყა „ქიქაში ქარიშხალი“ — ზრიფივები, ინტერვიუები ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, სხვადასხვა ტელეარხზე, საპროტესტო აქციებში, პროკურატურაში სარჩელის შეტანა და დიპლომატიური კორპუსის საქმის კურსში ჩაყენება — აქოდა, ადამიანის უფლებები ირღვევა საქართველოში, დროზე გვიშველეთ, პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადახტებას აქვს ადგილი! და ამას აკეთებს ორგანიზაცია, რომლის ყოვლად სამარცხვინო, ანტი-ჰუმანური და ანტიეროვნული პოზიცია 26 მაისთან, პოლიტპატიმრებთან თუ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებაში ყველასათვის ცნობილია. რატომ ხდება ასე? უფრო სწორად, **რატომ აძლევს საია თავს ამდენი უფლებას? პასუხი მარტივია — იმიტომ, რომ გასდის! და რომ გასდის, იმიტომაც აძვს თავში ავარდნილი!**

ბათუმის ინციდენტის შემდეგ განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ საიას მხრიდან აქ უზარალო მიკროკოვებისთან ან საკუთარი „მუნდირის“ ღირსების დაცვას-

თან არ გვაქვს საქმე (რასაც სავსებით მართებულად აკეთებს შსს), აქ აშკარად შორს-გამიზნული ჩანაფიქრის ნიშნები იკვეთება, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

მას შემდეგ, რაც მართვის მოწმობები შემოიღეს, ჯერ არავის მოსწრებია მსოფლიოში, რომ დაცვის მხარეს იქით მოეთხოვოს პოლიციელისთვის — ერთი თქვენი მართვის მოწმობა წარმოგიდგინებო! ეს საიას ახალი მიგნებაა, თანაც როგორი, პირველივე ცდაზე ათიანად გაარტყა, ყველას გასაოცრად, მთავარ პოლიციელს მართლაც არ ჰქონია მართვის მოწმობა! ასეა, სიმართლისა და ლიბერასტ-პედერასტების დამცველებთან „ჩიტებს მოაქვთ ამბავი“ საჭირო დროს!

ახლა თავში ავარდნაზეც ვთქვათ. მძღოლის ნასვამობაზე შემომხდების (და დადასტურების!) შემდეგ საია იქით ითხოვს პოლიციის სამმართველოს უფროსის ნარკოლოგიური შემომხდების (!), თუმცა მშვენივრად მოეხსენება, რომ შს მინისტრმა ლარიბაშვილმა, თავისი ინციდენტით, დანიშნისთანავე, თავადაც გაიარა ნარკოშემომხდება და ყველა თანამდებობის პირიც გაატარა. **საიას ნამდვილი გასდის, მაგრამ იმას ვერ ხვდება** (არადა, ყველა ამჩნევს!), **რომ თავისი მოთხოვნებით, აქციებით, დემარტოვებით (დიპლომატიის) დაფარული (!) შეხვედრებით** (ამაზე ოდნავ ქვემოთ) მას მართლაც წურწურით გასდის გრანტების შესანარჩუნებლად (!) დაღვრილი ოფლი, ამ გრანტებისგან მწვანედ შეფერილი!

ამგვარი მოთხოვნის „გამბედაობა“ საიას აქვს, მაგრამ მას არასოდეს შეუხსენებია სააკაშვილისთვის დიდი ხნის წინანდელი დანაკარგი — საკუთარი თავის და მინისტრ-დაუშატაპის

**ნარკოპეიზონება, ის არც მაშინ გახსენებია, როცა პატრიარქის საპარქალეო ჩასკაპაპული პრაიმიდენტის აცა-ბაცა თვალაპს უყურებდა! საიას ასეთ შარბავით ძველას ძარბავდა ტუტუტოვა ჰქვია!**

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ შორსგამიზნულ ჩანაფიქრს, თუ არა ამგვარ ჩანაფიქრზე, მაშინ, აბა, სხვა რაზე უნდა მიუთითებდეს საიას ხელმძღვანელის, კახა კოჭორიძის, ფარული შეხვედრები „ნაცების“ ლიდერთან. მხოლოდ ერთ, დადასტურებულ და თავად კოჭორიძის მიერ აღიარებულ შეხვედრაზე მოგახსენებთ, რომელიც ბათუმის ინციდენტთან დაკავშირებულია, 29 მარტს შედგა „ნაცების“ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან, ამჟამინდელ პარლამენტის ნაცემციერესობის ლიდერ დავით ბაქრაძესთან სასტუმრო „რადისონის“ ბარში.

საქმიანი და არასაიდუმლო შეხვედრები, როგორც ნესი, ოფისებში, სამუშაო ოთახებში იმართება დაუფარავად, მაგრამ, ვინაიდან ბაქრაძე და კოჭორიძე კარგად იციან, რომ გამორიცხული არ არის, მათი საუბარი ახლაც ისევე ისმინებოდა, როგორც ეს ვინა „გისმენ“ მერაბიშვილის დროს იყო, ამიტომაც მომავალ სამოქმედო გეგმებზე საუბარი მათ ავიტვალისგან და ყურისგან დაცულ ადგილას არჩევს. სამწუხაროდ, საიასთვის ამ ოხერმა თვალმა მაინც ჩაავლო ე. წ. არასამთავრობო ლიდერის ე. წ. ნაცსამთავრობო ლიდერთან გამართულ 3-საათიან ჭუჭქუქს ქვეყნის „საჭირობო-საკითხებზე“! „ამ (ბათუმის) ინციდენტზე საუბარი არ ყოფილა ბაქრაძესთან შეხვედრის მიზანი“, — წარბშეუხრებლად აცხადებს კოჭორიძე, მაგრამ ამ საკენკს ისევე თავისიან არ ახალ-

გაზრდა, მაგრამ ჯერ გაურყვნელ იურისტებს თუ დაუყრის! ქვეყნის ბედზე მათეორიული სასაუბროდ ინკოგნიტოდ ბარში არ ხვდებიან! ორი აზრი არ არის, სჯა-ბაასი, უეჭველად, ბევრ სხვა საკითხზეც იქნებოდა „რადისონში“!

მინდა გამოვეხმაურო ზოგიერთს მიერ ტელევიზიით გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისინი ბათუმის ინციდენტის ორგანიზატორები არ არიან, რომ ისინი ბათუმის აუტორიტარული მიხედვით, რომ ახლავს ჯოხია ბუზის სპილოდ წარმოჩენა, რათა მომავალში უფრო უარესისგან ვიყოფიერებდა მართალია, ნებისმიერ უარყოფით მოცუვნას (ბუნებაში თუ საზოგადოებაში) მცირე დადებითი მხარეც გააჩნია, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია და ყველაფერი ხომ უარყოფითია არსებობს. ამიტომ ბუზის სპილოდ წარმოჩენა არასოდეს და არსად არ არის გამართლებული (ობიექტურობა თითქმის იმდენივეა მცირეა, რამდენივეა ცხელი ალემატეა ბუზს), მით უფრო, დღევანდელს მთავარ საზოგადოებრივ საკითხს, ანუ უფროსს, სადაც ამდენი პროვოკაცია (სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური), ყურადღების მიქცევა უნდა დაეხმარებინათ, რომ ხარჯავდეს საია თავის ენერჯისას, მაშინ აღარავის მოუტრიალდებოდა ენა მის გასაკვირიკებად.

საიას (და სხვებისაც) შემყურე, აუცილებელია ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებზეც ვთქვათ ზოგადად. ყველა მსგავსი ორგანიზაცია ე.წ.-ია, რადგანაც არასამთავრობო (!) ნოდებული ორგანიზაცია არ უნდა ფინანსდებოდეს არც საკუთარი და არც უცხო სახელმწიფოს მთავრობისგან. იმის თქმაც კი ძნელია, თუ რომელი ვარიანტია უარესი! ჩვენთან ორივე ნაირსახეობა იყო გავრცელებული (ფა-



## გუბაზ სანიკიძეს კაპიტანის კარი «სკოლით» დაუღუპს

ქუთაისელმა შალვა კამლაძემ ქალაქის მერიამი მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძის სამუშაო კაბინეტის კარი „სკოლით“ დაღუპა. როგორც განაცხადებული კამლაძე აცხადებს, „სანიკიძეს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები არ ადარდებს და, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ქუთაისელებთან შეხვედრას თავს არიდებს“. „მაჟორიტარი დეპუტატი ვალდებულია, კვირას-

ში ერთხელ, ხუთშაბათობით მოსახლეობას შეხვედეს, რასაც გუბაზ სანიკიძე არ აპატიებს. მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ნასაარქივო დაპირება ნამდვილად არ ყოფილა“, — განუცხადა frontnews.ge-ს შალვა კამლაძემ. ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი გელა გაბადაძე კი შალვა კამლაძეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ანგაჟირებულ ადამიანს უწოდებს.





# ახალგაზრდებით დაკომპლექტიებული და უცხოეთის მიერ დაფინანსებული მორბინიანების უმრავლესობა პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით კი ჩვენისთვის. პატარა, სუსტი და ღარიბი ქვეყნისთვის.

რულად, ცხადია) და, შეიძლება ითქვას, 1 ოქტომბრის შემდეგაც, ანუ ორხელისუფლებიანობის პირობებშიც, დაახლოებით, იგივე გრძელდება — ნაწილობრივ ამოსული სოკოვანი მომრავლებულ, სააკაშვილის მაღალჩინოსნების მიერ დაარსებულ „არასამთავრობოებს“ სახელისუფლო (ნაცვების ფრთის) დაფინანსება გააჩნიათ (ზოგს — უშუალოდ პრეზიდენტის ფონდიდან და ზოგსაც — ძველი მთავრობის წევრებისგან). ამერიკის რესპუბლიკური პარტიის დაფინანსებას შაჰინის მიერ წლების წინ ჩამოყალიბებულ მორბინიანების, თუ „ნაცვების“ — კანანის, სულარეთის, დიდი სხვაობა არ არის და არც ერთ მხარეს მორბინიანების არ შეიძლება არასამთავრობო ეწოდოს.

ბილ გამონათქვამს მოვიყვანო: „მისთვის, რომ გაიგოთ, თუ ვინ ბატონობს თქვენზე, გამოარკვეეთ, ვისი გაკრიტიკება გეკრძალებათ!“

ახალი ხელისუფლების გასაგონად, იმათთვის, ვინც არასამთავრობოებიდან არაა გამოსული, მინდა ვთქვა, რომ ეს ე.წ. არასამთავრობოები ყველა იმ ხელისუფლების თავის ტკივილია, რომელი ხელისუფლებაზე ამ არასამთავრობო ორგანიზაციების მომგონს(!) და დამფინანსებელს არ აძლევს ხელს. ახალგაზრდებით დაკომპლექტიებული და უცხოეთის მიერ დაფინანსებული მორბინიანების უმრავლესობა პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით კი ჩვენისთვის. პატარა, სუსტი და ღარიბი ქვეყნისთვის.

რობო ორგანიზაციას ავალდებულებს, გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია, როგორც „უცხოეთის აგენტმა“, და ყოველწლიურად წარადგინოს ანგარიში მიღებული თანხების ოდენობისა და ხარჯვის თაობაზე (ანალოგიური კანონი, უფრო მკაცრი, შეერთებულ შტატებში 1938(!) წლიდან ყოფილა ძალაში და მსგავს ორგანიზაციებს იუსტიციის სამინისტროს შიონაჟთან მეტროლო კონტრდაზვერვის სამსახური აკონტროლებს! საინტერესოა ისიც, რომ თავად რუსეთი მხოლოდ ორადღივ არასამთავრობო ორგანიზაციას აფინანსებს საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში). რამდენ რამეს ახდენდა ფარდა ჩვენთანაც, პარლამენტმა რომ მიიღოს ეს კანონი. მიზანძრ, როცნებამ და „ნაცვებმა“ რუსეთს, უკაცრავად, ამერიკას(!) და დამკვიდრონ ჩვენთანაც ეს სასარგებლო წესი, რომელსაც ინგლისურად „Trust but verify“ შქვია (ენდ, მაგრამ შეამოწმე). გვეტყვი ვინმე რამეს?!

# მირონ სერგიანი — 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მირონ ბუჯას ძე ხერგიანი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:



სანგრძლივი პაუზის შემდეგ თქვენი სასიამოვნოდ გააოცეთ თქვენი კოლეგები, როდესაც გამოეცით ნიგნი „ოქროს ჭედილა, ანუ სვანური აზმანი“ (მინდორში ნიავს გაკიდებულ...). ამ ნიგნში დიდი ადამიანური ვენებები, ტკივილები, ახდენილი თუ აუხდენილი ოცნებები ბობოქრობს. ამ ნიგნში ძალუმადა აისახა სვანეთის — საქართველოს უმკაცრესი და, ამავე დროს, უმშვენიერესი კუთხის ავკარგინი ყოფა, რომელიც უხილავი ძაფებით გადაჯაჭვია თქვენს ცხოვრებას და დღემდე უზუსტეს ორიენტაციას გისახავს. დი-ახ, სვანური მურყვამები და მარუბები, საგვარეულო ეკლესია თუ აკლდამა — სამართიანი, სვანური მითები დღესაც გამაღვლებს, გისმობენ და თავისკენ გეძახიან...

ჩვენო საყვარელო მირონ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს, ერისკაცს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსები 1962 წელს გამოქვეყნდა თსუ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“, პირველი მოთხრობა „თეთრი მწვერვალები“ კი — 1963 წელს ჟურნალ „პიონერში“. მას შემდეგ ნაყოფიერი ტრატორული-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევი. თქვენი მოთხრობები, რომანები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული ნარკვევები და თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებში.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ესტონურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. ქართულად თარგმნეთ კიპრიან ეკვესისა და ლეოპოლდ ზახერ-მაზოხის რომანები, უკრაინელი, რუსი, აზერბაიჯანელი, ოსი და დაღესტნელი მწერლების ნაწარმოებები. თქვენი კინოსცენარის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უშუაზე ძლიერნი“.

მშვენიერი პროზაიკოსი ბრძანდებით. ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობა თქვენი რომანებისა და მოთხრობების ისეთ კრებულებს, როგორიცაა „პირველი ღამისთევია“, „თეთრი სახურავები“, „გადასასვლელი“, „ცხელი იანგარი“, „ღრუბლები შენ გეკონდეს“, „ოქროსფერი რიყე“, „დამრჩომი“, „კლდის ვეფხვი“. ამ ნაწარმოებების მთავარ ღირსებას დიდი ადამიანური სიბრძნით წარმოადგენს. წერით იმბზე, რაც ცხოვრება დასრულებია თქვენს სულსა და გულს... ცალკე აღნიშვნის ღირსია რომანი „კლდის ვეფხვი“, რომელიც დიდ ქართველ მთარგმნელს, მიხეილ ხერგიანს, უძღვენი. ამ რომანის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ის რუსულად ითარგმნა და მოსკოვში ასიათასიანი ტირაჟით გამოიცა.

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „პიონერის“ ლიტერატურისა და ჟურნალ „მნათობის“ კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილებების გამგედ, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩეულად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ; არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის პუბლიცისტის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ და მთელ ძალასა და ენერჯიას ქართული მწერლობის, ქართული სულიერების წინსვლასა და განვითარებას ახმარდით.

თქვენი ღვაწლი საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ, აგრეთვე, საქართველოს მწერალთა კავშირისა (3) და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამგდარის საპატიო წოდება. დაჯილდოებული ბრძანდებით ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო ჯილდოთი — ღირსების ორდენით.

თქვენი ღვაწლი საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ, აგრეთვე, საქართველოს მწერალთა კავშირისა (3) და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამგდარის საპატიო წოდება. დაჯილდოებული ბრძანდებით ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო ჯილდოთი — ღირსების ორდენით.

ჩვენო მირონ!  
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მჭირვას ძმასა და მეგობარს, დღეგრძელობასა და მზებრძოლულ გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი მამულის სასიკეთოდ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

# მეაჩივი და ოთხმოცი წელი

ოთხმოცი წელი მოარღვევდი მწუხრის ბლიკებს, სანუთროს გზებზე ინვა ნისლი ნიაღვრისფერი... ვითარც წარაფზე — ფიხვთა ჯოგი, ჩაიჯირითებს ოთხმოცი წელი... სევდიანი და უღმობელი.

გულსამშვენისად ჩემთვის უნდა თალოს ლოდები, მე არ მეშინის, არხინად ჩავცქერ უკუნეთს, მამაშვილობა ჩვენი იქაც განმეორდება.

ოთხმოცი წელი — შავი დენით გადაირია, ფუსდის კუნაპეტს სევდიანი ჰანგები ფარავს. მერმე მუხთალი განჩინება და რია-რია და ნაბრძანება სულეთის კარად!.. ერთი კირჩხიბიც ჩაესვენა, ან საუკუნემ

ოთხმოცი წელი მოარღვევდი მწუხრის ბლიკებს, სანუთროს მყეფარს ჰგერიობდი ბარით და ცელით, სამგლოვიარო ზართა გუგუნს მთები ირეკლავს და გიხსენებენ ლამარია, ნათლისმცემელი... მირონ სერგიანი

ამ ორგანიზაციების დაფინანსების თაობაზე მოპოვებული მასალების გამოქვეყნება (ძალზე დივიდათად) ერთ ალიაქოსის ინვესტ არასამთავრობოებში — როგორ შეიძლება კონფიდენციალური ფინანსური დოკუმენტაციის ჩვენს უნებართვად გამოქვეყნებაო! რა გამოდის? დეპუტატები და სხვა მაღალჩინოსნები ვალდებული არიან, დანერვილებით ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას პირადი შემოსავლების (ხელფასიდან, ბონუსიდან და სხვ.)

და ოჯახური შემადგენლობის თაობაზე, არასამთავრობოებს კი არც დაფინანსების წყაროების გაცხადება ევალებათ და არც მიღებული თანხების ოდენობის და ხარჯვის?! ეს მაგონებს ჩვენს ერთ-ერთ კონსტიტუციურ უფლებას — ჩვენ შეგვიძლია პარლამენტი და პრეზიდენტიც გადავირჩიოთ ვადამდელი არჩევნებით, მაგრამ არ შეგვიძლია ანალოგიური ვადამდელი არჩევნებით გადავირჩიოთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მოსამართლეები, თუნდაც მთელმა მოსახლეობამ მოითხოვოს ეს. განა ასე არ იყო რეგონებში, როცა მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების შესახებ ზეწოლად შეფასდა „ნაცვების“ და შორეული დასავლეთის მხრიდანაც; „ოცნებამაც“ იმ ხალხის მხარე არ დაიჭირა, რომლის წყალობითაც ვადამდელი არჩევნები — პრეზიდენტი ოქტომბრამდე და ადგილობრივი ორგანოებიც 2014 წლამდე უნდა დარჩნენ ადგილებზეო, — გამოგვიცხადო ხმამაღლა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ერთიც გაყალბებული არჩევნებით იყო მოსული სათავეში და მეორენიც — მერია-საკრებულო-გამგებობებში.

ჩვენ კი არა, თურმე რუსეთსაც არ სცოდნია ამის თაობაზე და მან სულ ახლახან თიადგინა, რომ მის ტერიტორიაზე 654(!) მარტო უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებმაც ბოლო ოთხ თვეში ერთი მილიარდი(!) დოლარი მიიღეს, ანუ საშუალოდ 400 000 დოლარი თვეში თითოეულმა ორგანიზაციამ! ჩვენთან არა მგონია, ნაკლებს იღებდნენ! ამ ორგანიზაციებზე კონტროლის დაწესების (და არა აკრძალვის!) მიზნით, რუსეთის დუმამ 2012 წლის ნოემბერში მიიღო კანონი, რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებულ და პოლიტიკური საქმიანობით დაკავებულ ყველა არასამთავ-

რობო ორგანიზაციას ავალდებულებს, გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია, როგორც „უცხოეთის აგენტმა“, და ყოველწლიურად წარადგინოს ანგარიში მიღებული თანხების ოდენობისა და ხარჯვის თაობაზე (ანალოგიური კანონი, უფრო მკაცრი, შეერთებულ შტატებში 1938(!) წლიდან ყოფილა ძალაში და მსგავს ორგანიზაციებს იუსტიციის სამინისტროს შიონაჟთან მეტროლო კონტრდაზვერვის სამსახური აკონტროლებს! საინტერესოა ისიც, რომ თავად რუსეთი მხოლოდ ორადღივ არასამთავრობო ორგანიზაციას აფინანსებს საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში). რამდენ რამეს ახდენდა ფარდა ჩვენთანაც, პარლამენტმა რომ მიიღოს ეს კანონი. მიზანძრ, როცნებამ და „ნაცვებმა“ რუსეთს, უკაცრავად, ამერიკას(!) და დამკვიდრონ ჩვენთანაც ეს სასარგებლო წესი, რომელსაც ინგლისურად „Trust but verify“ შქვია (ენდ, მაგრამ შეამოწმე). გვეტყვი ვინმე რამეს?!

მანქანების ბაზოსაყვანი კონკრეტული უწყვეტ რეჟიმში მუშაობს, სტრატეგია აქვთ გათვლილი სე-ლექციონარებს და ამიტომ-მაც ხელისუფლებაზე მოყვანილი(!) პარტიის უკან თადარიგში ყოველთვის აბრუნდებიან, მოძრაობა თუ ორგანიზაცია. ისევე, როგორც, მაგალითად, „ნაციონალის“ შემცველად აბსოლუტურად იდენტური მსოფლმხედველობის რესპუბლიკური პარტია იყო გამწვანებული, რესპუბლიკური პარტიასაც ჰყავდა (და ჰყავს!) თავისი დუბლიორი! ეჭვი არავის შეეპაროს ამაში, ეს ჩვეულებრივი ტაქტიკური სვლებია „სტრატეგიულ პარტიორებზე“ წოდებული ჩვენი „მეგობრების“. აღმოსავლური სიბრძნის მიმდევრებს, ამერიკულ სელიექციონარებს ავიწყდებათ საკუთარი პრეზიდენტის, ჯეფერსონის, სინანულით ნათქვამი სიტყვები: „სული მიშფოთავს ჩემი ქვეყნის გამო, როდესაც გავიფიქრებ, რომ ღმერთი სამართლიანია!“ და ამას იგი ამბობდა 200 წლის წინ. ადვილი წარმოსადგენია, რას იტყოდა ამერიკის მსოფლიო პოლიტიკის შემხედვარე ჯეფერსონი დღეს, როცა მსოფლიო ფანდარმის როლში იხილავდა ამერიკას!

# აქომსავლეთი ავღანეთში 18 ავღანელი დაიღუპა, მათ შორის 10 ბავშვი

ავღანეთის ოფიციალური წყაროების ცნობით, კუნარის პროვინციაში საჰაერო თავდასხმები ავღანეთისა და ნატოს ჯარების ერთობლივი, თალიბანი მებრძოლების წინააღმდეგ გამართული ოპერაციის დროს ხდებოდა. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტო დაღუპულთა განსხვავებულ რაოდენობაზე მიუთითებს.

კუნარის გუბერნატორის სპიკერმა, ვასიფულა ვასიფმა, განხორციელებული თავდასხმა „ალ ჯაზირას“ დაუფასებურა. „კადრისტიკებით, რომ ავღანეთის დაზვიავის სამსახურს შიგაღის

ოქმში დარკავა მოახდინა. ამ დარკავისას უსაფრთხოების სამსახურის ძალებმა 20 თალიბანი მოკლეს, რომელთაგანაც 10 იყო თალიბანის ხელმძღვანელი“, — განუცხადა მან „ალ ჯაზირას“.

საინფორმაციო სააგენტო AFP-ს ინფორმაციით, სულ ცოტა, 10 ბავშვი დაიღუპა შიგაღის განხორციელებული თავდასხმისას, იმ დროს, როდესაც სააგენტო „როიტერსმა“ გადმოსცა, რომ საჰაერო დარტყმებისას 8 თალიბანი მოკლეს.



ხელაღებით თქმა, საქართველოში ნავთობი არ არის, უხერხულია. ჩვენი ამოცანა ისაა, რომ ის პერსპექტივა მაინც, რომელიც უდავოდ მიგვაჩნია, ხელიდან არ გავუშვათ, რაც შეიძლება მალე ჩავატაროთ საჭირო სამუშაოები და დავრწმუნდებით, რომ დიდი ქართული ნავთობი არსებობს და მას დიდ ფულთან ერთად საქმის მოყვარული ადამიანების ხელი და გული მიღებება აკლია.

# არის თუ არა ნავთობი საქართველოში?

ოქროს ხანა საქართველოს ნავთობმოპოვებას 1975 წლის 28 აგვისტოს დაუდგა, როცა სამგორის №7 ჭაბურღილი, რომელიც სოფელ სართიჭალის მიდამოებში მდებარეობს, დიდი ნავთობი მოგვცა. მისი ბურღვა 1974 წლის 29 იანვარს დაიწყო. საპროექტო სიღრმე 3800 მეტრი იყო, საპროექტო ჰორიზონტი კი — ქვედა ეოცენური ასაკის ნალექები. ასეთი საპროექტო ამოცანით ამ უბანზე უკვე რამდენიმე ჭაბურღილი (№№ 1, 3, 4, 8) იყო გაბურღული, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც ტრენსის მთავარი გეოლოგის თანამდებობაზე იმ დროს ახლადდანიშნულმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ლალიევამ დიდი სიღრმეების დაპრობას უფრო რეალური და საინტერესო ამოცანა — შუაეოცენური ასაკის „მშთანთქმელი ჰორიზონტის“ წყლით ბურღვა და მისი შემდგომი დასინჯვა ამჯობინა და გაუმართლა კიდევც. საქართველოში მანამდეც იყო ნავთობის საბადოები — მირზაანი, პატარა შირაქი, ნორი, საცხენისი, სუფსა, აღმოსავლეთი ჭალაღიდი, ტარიხანი, ბაიდა-ჩაბაძე, მაგრამ ისინი იმდენად ცოტა ნავთობს იძლეოდნენ, რომ 1930 წლიდან 1974 წლამდე სულ რაღაც 1 მილიონ 362 ათასი ტონა ნავთობი მოვიპოვეთ.

### წინათმეტყველები

საქართველოში ნავთობის სამრეწველო მოპოვება კი 1930 წლიდან იწყება, იმ დროიდან, როცა აღმოაჩინეს და ექსპლოატაციაში შეიყვანეს მირზაანის საბადო. სწორედ მაშინ, კახეთის ნავთობის საბადოების დაზვერვისა და ექსპლოატაციის მიზნით, შეიქმნა ტრესტი „საქნავთობი“ და დაიწყო გეგმიური გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმოება. ნავთობის მოპოვების ყველაზე მაღალი წლიური დონე 1941-1943 წლებში მიღწეულს, შესაბამისად, 57532, 56108 და 57477 ტონა წელიწადში. დანარჩენ წლებში მოპოვება 20-40 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა. შემდგომ პერიოდში ნავთობმოპოვების გაზრდის მიზნით ჩატარებული უახლესი მეთოდების გამოყენების მიუხედავად, მოპოვება თანდათან ეცემოდა.

1974 წლიდან, ნავთობის მოპოვების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება და იწყება სწორედ იმ ღირსსახსროვარი №7 ჭაბურღილით, რომელმაც საწყისი დაუდო ჯერ მალაღებელიტიანი სამგორი-პატარაქელის, მერე 1976 წელს თელეთისა და 1978 წელს სამგორის სამხრეთი თალის საბადოების აღმოჩენას. ამ აღმოჩენებმა, მძლავრი ბიძგი მისცა ნავთობის მრეწველობის განვითარებას საქართველოში.

1977 წელს ნავთობის მოპოვებამ 1,75 მილიონი ტონა შეადგინა, რაც ლამის 80-ჯერ აღემატებოდა 1973 წლის მოპოვებას. 1978 და 1979 წლებში, შესაბამისად, 2,456 და 2,785 მილიონი ტონა მოიპოვეს. მაქსიმალური დონე მოპოვებამ 1980-1983 წლებში მიიღწია, როცა წელიწადში, შესაბამისად, 3,186, 3,322, 3,330 და 3,299 მილიონი ტონა ნავთობი მოიპოვებოდა, მაგრამ 1984 წლიდან დაწყებული ნავთობის მოპოვების საქმეში მკვეთრი დაცემა დაიწყო.

ჭაბურღილის ნაზი, სათუთი ბუნება ვერანაირ ზედმეტ ნიუანსებს ვერ უძლებს. ის ცოცხალ არსებასავით მგრძობიარეა და მოვლა-გაფრთხილება სჭირდება. ამ დროს კი დადგა არეული გასული საუკუნის 90-იანი წლების ავადსახსენებელი პერიოდი, როცა ყველასა და ყველაფერზე მხედრიონი ბატონობდა და ეს ბატონობა, სამგორის საბადოზე ნავთობის დატაცებამაც აისახა. ისინი მთელ ლულაზე ხსნიდნენ ჭაბურღილებს, რათა თავიანთი ცისტერნები სწრაფად გაეცხოვრათ. თუ ადრე მოპოვებულები, მათედი ატმოსფეროს წნევაზე სჯიდა კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ყველა ხერხით ცდილობდნენ წნევის დაცვას არ დაეშვათ, ახლა მხედრიონელები წნევას არაფრად დაგედგდნენ. ასეთმა მტრულმა დამოკიდებულებამ უცებ მოგუდა ჭაბურღილები. მხედრიონის მტაცებელიურმა დამოკიდებულებამ საბოლოოდ დაანგრია კიდევც ნავთობმოპოვების საქმე.

არანაკლებ საეჭო ნაბიჯად მიგვაჩნია ჭაბურღილების უცხოელი ინვესტორებისთვის გადაცემაც. არ გამართლდა, რომ ისინი ახალი მეთოდებით მეტის მოპოვებას შეძლებდნენ. „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ, რომელმაც ყველაფერი, რის გაყიდვაც მხედრიონმა ვერ მოასწრო, გაყიდა, დახურა „საქნავთობი“. გამოაცხადა, რომ საქართველოში ნავთობი არ არის. ასეთმა დასკვნამ, მხოლოდ მწარე ღიმილი შეიძლება მოპოვაროს გათვითცნობიერებულ ადამიანს. ხელი-სუფლებამ კი უცებ გამოგვიტანა განაჩენი: არ არის და მორჩა.

### რას ურსებო

საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსების რაოდენობრივი შეფასება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. იმ პერიოდში, როცა თბილისისპირა რაიონში, შუაეოცენურ

წარმოქმნილი ნავთობიანი საბადოების აღმოჩენას დაელოდა სათავე. შემდგომში ასეთი სამუშაოები გარკვეული პერიოდულობით, 4-5 წელიწადში ერთხელ წარმოებდა. ყოველ მომდევნო პერიოდში ახალი გეოლოგიურ-გეოფიზიკური და სარეზონანსო მასალების დაგროვების ხარჯზე რესურსების რაოდენობა ცვლილებებს განიცდიდა მატებისკენ. 1999 წელს ნავთობის საწყისი ჯამური გეოლოგიური რესურსები 1,59 მილიარდი ტონით განისაზღვრა, ამოსაღები 584 მილიონი ტონით, გაზის რესურსები 163 მილიარდი კუბური მეტრით. ნავთობ-გაზიანობის თვალსაზრისით, პერსპექტიული ტერიტორიის ფართობი ყველა პერიოდისთვის უცვლელი რჩებოდა და 26,5 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, რომლის ფარგლებში 7 ნავთობ-გაზიანი რაიონი გამოიყოფოდა. **ნავთობისა და გაზის რასურსების რაოდენობის შეფასების აქტუალური მონაცემები 2002 წელს მოხდა, რომლის თანახმად ნავთობის გეოლოგიური რასურსებები შეადგენდა 1,29 მილიარდი, ამოსაღები 450 მილიონი ტონით განისაზღვრა. ზღვის აკვატორიისთვის კი შესაბამისად 1,15 მილიარდი და 400 მილიონი ტონა. გაზის რესურსების რაოდენობა მხოლოდ ხმელეთისთვის იყო შეფასებული და 180 მილიარდ კუბმეტრად განისაზღვრა. პატარა რაიონის ანგარიშში მოყვანილი ნავთობის პოტენციური რესურსები, სხვადასხვა საეცილისტის შეფასებით, 573 მილიარდი ტონიდან 2,44 მილიარდ ტონამდე მერყეობს.**

ნავთობის დარჩენილი რესურსების იმავე განაწილების თანახმად, საქართველოს ნავთობ-გაზიანი რაიონებისა და ბლოკების მიხედვით ასეთი სურათი გამოისახა: სამხრეთ საქართველოში (XIII-XIV ბლოკები) შესაბამისად გეოლოგიური და ამოსაღები მარაგები მილიონ ტონებში იყო 80 და 30; გარე კახეთში (XI) — 265 და 75; თბილისისპირა რაიონში (XI) — 200 და 70; მთიან კახეთში (X) — 222 და 75; ქართლში (IX) — 130 და 45; აჭარა-თრაიალეთში (VIII და VII) — 110 და 45; გურიაში (VII) — 100 და 35; იმერეთში (VI) — 100 და 40; კოლხეთში (V და IV) — 85 და 35.

### მოულოდნელი აღმოჩენა

ამჯერად მინდა ერთი საინტერესო და, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი ჭაბურღილის შესახებ მოგიხსნათ. ასეთად მე უფლისციხის №5 მიმართა, რომელიც კლდეში ნაკვეთი ქალაქის, უფლისციხის, ოდნავ ჩრდილო-დასავლეთით არის გაბურღული გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ამ ჭაბურღილის მიზანი სულაც არ იყო ნავთობის ძებნა, მაგრამ

საპროექტო 2000-ის მაგიერ, ფაქტობრივად, 2285 მ-მდე გაბურღეს, საპროექტო ზედაეოცენურის შემდგომ შუაეოცენურ ნალექებში შევიდნენ 2120 მ-დან და 2205-2265 მ-ის ინტერვალისგან თხევადი ნავთობის მოდენი მიიღეს და დასასინჯად დეპარტამენტ „საქნავთობის“ სპეციალისტები მიიწვიეს.

პირველი დასინჯვისას, 48 საათის განმავლობაში მიღებული მონაცემებით, დადგინდა საშუალო დღეღამური მოდენი — 45,26 უბმეტრი/დღეღამური. ერთი თვის შემდეგ, მეორე დასინჯვისას უშუალოდ დღეღამური დებიტი 2,42 კუბმეტრი/დღეღამური განისაზღვრა. ნავთობმომცველი ფენის წნევა 178 ატმოსფეროს შეადგენს, რაც ნავთობის ზედაპირზე თვითგადმოძინებას გამოიწვევს.

ეს ჭაბურღილი და ის პრობები, რომლებშიც ის იმყოფება, ზუსტად შეესაბამება 1970-იანი წლების დროინდელ სამგორის იმ ჭაბურღილების ბედს, რომლებსაც დასინჯველებმა უპასუხისმგებლობის, უცოდინარობის თუ სხვა მიზეზით მაშინ „სასიკვდილო განაჩენი“ გამოუტანეს — „მშრალიაო“, შემდგომში კი სამგორის სახეღვანეთში №7-დან ნავთობის მიღების მერე ყველა მათგანმა დაიღწა ნავთობი მოგვცა. აბა, დაუვიკრიდით: იგივე ასაკი, იგივე ვულკანოგენურ-დანალექი წყება, იგივე ანომალურად დაბალი წნევა. განსხვავება შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ მათში ნავთობს ვერ ხედავდნენ, აქ კი თვალსაჩინოა მისი არსებობა.

უფლისციხის №5-ის შემთხვევაში შუაეოცენური ნალექების საბურღელ სხნარად 1,22 გ/სმ ხვედრითი წონის დამაძიმებულ თიხის სხნარს იყენებდნენ (ე.ი. როცა ფენის წნევა 178 ატმ. იყო მასზე 272 ატმოსფეროს წნევით, ფენის წნევაზე 94 ატმოსფეროთი მეტი ზემოქმედებდნენ). ამ პორიზოტის ბურღვა კი მხოლოდ წყლითაა რეკომენდებული. სწორედ იმ სხნარმა უუარაგოდ ნავთობი და მას მთელი ძალით გამოვლენის საშუალებას არ მისცა, სხნარში შემავალი კომპონენტები კი ნაპარტახსა და ფორებში დაილევა და ნავთობის გამოსავლების ძირითადი ნაწილი ჩაქვტა.

ამას, რა თქმა უნდა, დიდი და შეიძლება ვადაზნევეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაბურღილის ლულიდან ნავთობის რაც შეიძლება შორს განდევნაში.

ასე რომ, ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება დიდი ქართული ნავთობის შიგ შუა ქართლში აღმოჩენის პერსპექტივის ნინამე ვიდგეთ. ამ ჭაბურღილის აღდგენა პირველი რიგის გადაუდებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს. თუ მხედველობაში მივალთ, რომ ამ ანტიკონის ქვედა სტრუქტურული სართული კარგადაა დახურული და ხელსაყრელი პირობათაგან, ვეძებთ ნავთობისა და გაზის დადგაროვებთათვის; იმასაც, რომ



შუაეოცენური ნალექები საქართველოში რეგიონულად ნავთობგაზმომცველი და იმასაც, რომ უფლისციხის ამ ჭაბურღილის აღმოსავლეთით, თბილისისპირა რაიონში გვაქვს თელეთისა და სამგორის ნავთობის საბადოები, ამ უკანასკნელის ფარგლებში არსებული სამგორის, პატარაქელის, სამხრეთის თალისა და ნინოწმინდის უბნებზე გაბურღული ჭაბურღილებიდან მიღებული ნავთობი, რომლის საწყისი დღეღამური დებიტიც თავის დროზე 500 კუბურ მეტრს აღემატებოდა, შევიძლია დაბეჭდით გავეცხადოთ: **ნავთობი არის! ბასარაკვიძა მხოლოდ ის, თუ რამდენია. ვფიქრობ, რომ ის საბაზო მნიშვნელოვან საშუალო ბადაწყვიტს ქართლის დეპარტამენტს, კარგად, გორი-უფლისციხის ნაოჭის, შუაეოცენური ნალექების ნავთობგაზიანობის საკითხს და შევადგინო, ჩვენი აზრით, უდავოდ დადებითი იმეა.**

### კახეთი - ნავთობის დიდი საბადო

ახლა ყურადღება, მინდა, სულ სხვა მხარეს — მთიან კახეთს მივაპყრო და იქ გაბურღულ, ჩემის აზრით, მნიშვნელოვან ვეძების №1 ჭაბურღილს (X ბლოკი) შევხებ, რომელიც ახლანდელ მთიან რაიონის სოფელ ვეძებში მდებარეობს. მისი გაბურღვა 902 მეტრამდე მოხერხდა და ორი ძირითადი — მეორე და მესამე ნავთობმომცველი პორიზოტი გაიხსნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მესამე პორიზოტის გახსნა 851-902 მ-ის ინტერვალში, საიდანაც 18 საათში 12,5 კუბური მეტრი ნავთობი იქნა მიღებული. მისი ხვედრითი წონაა 0,878-0,876 გ/სმ; დუღილის საწყისი ტემპერატურა კი — 138-139°C.

ამ მცირეოდენი დაბანდების შემდეგ, მნიშვნელოვანი საკმის ნამოწყება და, დადებითი შედეგების შემთხვევაში, მაქსიმუმ 1000-1200 მ-ის სიღრმის მქონე საექსპლოატაციო ჭაბურღილების ბურღვა იქნება შესაძლებელი. ამ ბლოკზე სამუშაოებს აწარმოებდა ბრიტანული ფირმა „რამკო“, რომლის მიერ შესრულებულ სამუშაოთაგან, ვეძებ-ნილი ნავთობისა და გაზის დადგაროვების თვალსაზრისით, დიდ

ინტერესს იწვევს. ამ მიდამოების ქვედა იურული ნალექები და კერძოდ მისი ლიასური თიხაფიქლები მიგვაჩნია დიდი ქართული ნავთობის დედაქანად და მის ზემოთ განლაგებული, ნებისმიერი დახურული ფორმის და ნაპარტახიანი სტრუქტურა შეიძლება დიდი ქართული ნავთობის საბადო აღმოჩნდეს. აქ ალაზნის სერიის მძლავრი საფარის ქვეშ მოქცეული ნალექები ბევრი ნიშნით ავლენს ნავთობგაზიანობის პერსპექტივას.

საქმე ისაა, რომ ალაზნის სერიის საკმაოდ მძლავრი და ზოგან 1500-2000 მეტრის სიძლიერის ალენებს. აი ამ სიღრმის ქვემოთ უნდა მოიხსნოს საიმედოდ დახურული ნავთობდაგროვებისთვის ხელსაყრელი სტრუქტურა და ამისათვის უარეს შემთხვევაში 5-6 კმ და შეიძლება უფრო მეტი სიღრმის მქონე ჭაბურღილები გაბურღვაც კი გახდეს საჭირო, მაგრამ ნავთობის ორგანული ნარმოშობის ჰიპოთეზის მომხრეები თვლიან, რომ ნავთობი დიდ სიღრმეებზე არაა, რადგან 150°C ტემპერატურაზე ის გახდა ან კოქსად გარდაიქმნება, მაგრამ ზოგიერთი ცდებისას, როცა ნავთობს 500°C-მდე აცხელებდნენ. ის თავის თვისებებს არ კარგავდა.

ბევრი გეოლოგის აზრით, ეს ისეთი სიღრმეა, როცა წნევა და ტემპერატურა ნავთობის ნარმოშობისთვის საჭირო პირობებს აჭარბებს. სორის წყება საქართველოს ბელტზე და, კერძოდ, იმერეთის ამონევისა და რიონის მთათაშუა რიფის ფარგლებში შეიცავს ქვიშაქვიან ნარმონქმენებს, რომლებსაც ხელსაყრელი სტრუქტურული და სხვა პირობებისას სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობისა და გაზის აკუმულირების უნარი აქვს. მთიან კახეთში ასეთივე გვესახება კორდილიერების კინტა-ფხოველის ზონა, კახეთისა და თიანეთი-ფხოველის ქვეზონები.

რა თქმა უნდა, ამ პატარა საგაზეთო სტატიაში ყველაფრის თქმა ვერ მოვახერხებ, მაგრამ ვფიქრობ, იმაზე მაინც ნათლად მიგვაჩნეს, რომ ხელაღებით თქმა, საქართველოში ნავთობი არ არისო, უხერხულია. ჩვენი ამოცანა ისაა, რომ ის პერსპექტივა მაინც, რომელიც უდავოდ მიგვაჩნია, ხელიდან არ გავუშვათ, რაც შეიძლება მალე ჩავატაროთ საჭირო სამუშაოები და დავრწმუნდებით, რომ დიდი ქართული ნავთობი არსებობს და მას დიდ ფულთან ერთად საქმის მოყვარული ადამიანების ხელი და გული მიღებება აკლია.

ამერიკელი მალე მიხვდებიან, რომ მათთვის ძვირფასი თანაბარი შესაძლებლობები და ეკონომიკური მოზილურობა მხოლოდ მითია. თუ პოლიტიკა არ შეიცვლება, ამერიკის სახე შეიცვლება როგორც ამერიკელების, ისე დანარჩენი მსოფლიოს თვალში. იგივე ელის ამერიკის ეკონომიკურ სტაბილურობას.

მსოფლიო



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანაბარი შესაძლებლობები — ამერიკელთა ნასიონალური მითი

თავის მეორე ინაუგურაციასთან დაკავშირებულ გამოსვლაში, რათა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა ამერიკისადმი ერთგულება, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა: „ჩვენ ჩვენი კრედიტს ერთგულებით ვრჩებით: ნებისმიერმა გოგონამ, თუნდაც ის ყველაზე შავხეულ სილატაკეში დაბადებულმა, იცის, რომ მას წარმატებისათვის ზუსტად ისეთივე შანსები აქვს, როგორც ნებისმიერ სხვას, იმიტომ, რომ ის ამერიკელია, ის აბსოლუტურად თავისუფალია და თანასწორია ყველასთან არამხოლოდ უფლის თვალში, არამედ ჩვენს თვალშიც“.

საეჭვოა, რომ სასურველსა და რეალურს შორის სხვაობა რომელიმე სხვა შემთხვევაში უფრო დიდი იყოს. დღეს აშშ-ში შესაძლებლობათა თანასწორობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა რომელიმე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში. ერთი მეორის მიყოლებით ყველა კვლევა აბათილებს მითს იმის თაობაზე, რომ ამერიკა შესაძლებლობათა ქვეყანაა. და ეს განსაკუთრებით ტრაგიკულია, რადგან, თუ ამერიკელებს შეიძლება სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ თანასწორობის სასურველობასთან დაკავშირებით, „ფინშითან“ თითქმის ყველა ერთსულ ოცნად მიიჩნევენ, რომ „სტატისისა“ შესაძლებლობათა უთანასწორობა უზრალოდ მიუღებელია. კვლევითი ცენტრი „ოიუს“ მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ, ამერიკელთა 90%-ის აზრით, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მოქალაქეთა შესაძლებლობების თანასწორობა უზრუნველყოს.

შესაძლოა, ასი წლის წინ ამერიკის ნამდვილად ჰქონდა უფლება, თავი შესაძლებლობების ქვეყნად წარმოედგინა ან თუნდაც ეთქვა, რომ ეს არის ქვეყანა, სადაც უფრო მეტი შესაძ-

ლებლობებია, ვიდრე სხვაგან, მაგრამ, სულ მცირე, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ამერიკა ამით ვეღარ დაიტრიალებს. მონათხრობები ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებზე, რომლებმაც მიიმე შრომითი, გამბედაობითა და დაუინებით მიალენეს წარმატების მწვერვალს, წინასწარგანზრახული ფალსიფიკაცია არ იყო, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რა დამამშვიდებელ ზეგავლენას ახდენდა ეს ამერიკელებზე, არც ამ ვერსიის გამორიცხვა შეიძლება.

საქმე ის არაა, რომ სოციალური მოზილურობა შეუძლებელია, საქმე ისაა, რომ ამერიკელთა მოძრაობა სოციალური კობის მწვერვალისკენ უკვე გამოწვეულია შემთხვევა ხდება. ბრუკინგის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონეთა ჯგუფის ოჯახებში დაბადებულ ამერიკელთა მხოლოდ 58%-მა მოახერხა ამ ჯგუფიდან თავის დაღწევა და მათთან მხოლოდ 6% გადავიდა ყველაზე დიდი შემოსავლების მქონე ოჯახების კატეგორიაში. ეკონომიკური მოზილურობა აშშ-ში უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში და მთელ სკანდინავიაში.



შესაძლებლობების თანასწორობის შემომშენებელი კიდევ ერთი საშუალებაა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა ცალკეული ბავშვის ცხოვრებისეული წარმატებები დამოკიდებული მისი მოზილურობის განათლებასა და შემოსავლებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალია, რომ ღარიბი და გაუნათლებელი ოჯახის შვილებს საშუალო ფენაში გადასვლის ისეთივე შანსი აქვთ, როგორც უმაღლესი განათლების მქონე საშუალო კლასის წარმომადგენელთა შვილებს? ყველა საზოგადოებაში ამ კითხვაზე პასუხი „არა“ იქნება. ნებისმიერი ამერიკელის ცხოვრებისეული პერსპექტივები უფრო მეტადაა დამოკიდებული მისი მოზილურობის განათლებასა და შემოსავლებზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის წარმომადგენლისა.

როგორ აიხსნება ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება? ნაწილობრივ ეს კავშირშია ხანგრძლივ დისკრიმინაციასთან. ლათინოამერიკელებსა და აფროამერიკელებს ამ დრომდეც ნაკლებს უხდებიან, ვიდრე თეთრკანიანებს, ქალებს კი ამერიკაში დღესაც მამაკაცებზე ნაკლებს გამოიმუშავენ, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ამერიკაში ქა-

ლემბა მამაკაცებს გაუსწრეს სამეცნიერო ხარისხების რაოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილებზე გენდერული უთანასწორობა ახლანაკლებადაა გამოხატული, ეგრეთ წოდებული „შუშის ტერი“ ჯერ კიდევ არსებობს: ქალები უკიდურესად მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი უმაღლეს კორპორატიულ ხელმძღვანელობაში და უმაღლეს სააღმსრულებლო თანამდებობებზე.

მაგრამ დისკრიმინაცია მთელი სურათის მხოლოდ მცირე ფრაგმენტია. როგორც ჩანს, შესაძლებლობების თანასწორობის არარსებობის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი განათლება, მისი მოცულობა და ხარისხია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპამ დიდი ძალისხმევა გააწიო მისი მოქალაქეების შესაძლებლობების, მიეღოთ უმაღლესი განათლება.

მაგრამ შემდეგ ამერიკა რამდენიმე ასპექტში შეიცვალა. მას შემდეგ, რაც რასობრივი სეგრეგაცია შემცირდა, ეკონომიკური — გაიზარდა. 1980 წლის შემდეგ ღარიბი ფენები კიდევ უფრო გაღარიბდნენ,

საშუალო ფენის შემოსავლების ზრდა შეწყდა, მდიდრები კი სულ უფრო მდიდრულად ცხოვრობდნენ. ბავშვების კერძო სკოლებში სწავლების მხრივ უთანასწორობა ღარიბი რაიონების მცხოვრებლებსა და მათ შორის, ვინც მდიდრულ ან საკმაოდ უზრუნველყოფილ გარეუბნებში ცხოვრობდნენ, კიდევ უფრო გაიზარდა. შედეგი იყო მათი შვილების განათლების ხარისხის შორის განსხვავების მკვეთრი ზრდა. სტანფორდის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევის მიხედვით, 25 წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, 2001 წელს დაბადებულ ბავშვებს შორის განათლების ხარისხის სხვაობა 30-40 პროცენტით გაიზარდა.

ცხადია, არის სხვა ფაქტორებიც: შეძლებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვები უკეთ იკვებებიან, დადიან საზაფხულო ბანაკებში, განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა წრებზე და მათ ჯანმრთელობას გულდასმით ადევნებენ თვალს. თუ განათლებასთან დაკავშირებული მიმდინარე ტენდენციები სრულად არ შეიცვლება, მდგომარეობა დღითიდღე გაუარესდება. ხანდახან ეს ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს მიღებული ზომები სპეციალურადაა შემუშავებული თანასწორობის შესამცირებლად: რამდენიმე ათწლეულის და განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფო სკოლების სახელისუფლო მხარდაჭერა განუზრუნვლად მცირდება, სტუდენტებს უზარმაზარი ტვირთი აწევთ სტუდენტური სესხების სახით, რომლისგანაც გაკოტრებაც კი ვერავის იხსნის. არადა, კარგი სამსახურისთვის კოლეჯის დიპლომი ამერიკაში ახლა იმდენად მნი-

შვნელოვანია, რამდენადაც არასდროს ყოფილა. კოლეჯის დიპლომიც კი ალარ კმარა, კარგი სამსახურის საშუალებად ამერიკაში ახლა მაგისტრის ხარისხი და რამდენიმე სტაჟირების გავლა საჭიროა, რაც ასევე კოლეჯის უმაღლესი ხარისხის მქონე უმაღლესი ხარისხის მქონე მკვლევარს ნარმატივს ალწვევს ისინი, ვისაც მშობლების მხრიდან კლიერი მხარდაჭერა აქვთ.

ამერიკელები მალე მიხვდებიან, რომ მათთვის ძვირფასი თანაბარი შესაძლებლობები და ეკონომიკური მოზილურობა მხოლოდ მითია. თუ პოლიტიკა არ შეიცვლება, ამერიკის სახე შეიცვლება როგორც ამერიკელების, ასევე დანარჩენი მსოფლიოს თვალში. იგივე ელის ამერიკის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტაბილურობას. შემოსავლებისა და შესაძლებლობათა უთანასწორობა ერთმანეთს აძლიერებს და ასუსტებს ეკონომიკას. არადა, ამერიკას ამერიკული ოცნების გადარჩენა არა მხოლოდ მორალურად, ეკონომიკურადაც სჭირდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკაში უკვე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მომავალი თაობის გადარჩენაზე, ყველა ბავშვის სრულფასოვან კვებაზე, მშობლებისთვის არამხოლოდ ბავშვებზე ზრუნვის საშუალების მიცემაზე, არამედ მათ ნახალისეხვასა და დაჯილდოებაზეც კი საკუთარი მოვალეობების კარგად შესრულებისთვის.

უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ ამერიკამ ამდენად გართულა უმაღლესი განათლების მიღება თავისი ბავშვებისთვის. განათლებული მოსახლეობა ქმნის ინოვაციებს, მძლავრ ეკონომიკას და გაცილებით მეტ შემოსავალს, ამერიკას კი ეს, უბრალოდ, გამოჩნდა მხედველობიდან. სწორედ ამის გამოა, რომ ქვეყანა ბავშვებს უზრუნველყოფდა უფასო საშუალო განათლებით, რაც საუკუნის წინ, შესაძლოა, საკმარისი იყო ნორმალური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ახლა ესეც აღარ კმარა. ამერიკამ კი ამ დრომდეც ვერ მოახერხა, საკუთარი სისტემა თანამედროვე რეალიტეტთან შესაბამისობაში მოეყვანა.

ობამასეულ ოცნებას, სადაც ლატაკ გოგონას მდიდარი ოჯახის შვილების მსგავსი შესაძლებლობები აქვს, ამერიკა, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მიაღწევს.

შოზევ სტივლინი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი The New York Times



ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონეთა ჯგუფის ოჯახებში დაბადებულ ამერიკელთა მხოლოდ 58%-მა მოახერხა ამ ჯგუფიდან თავის დაღწევა და მათთან მხოლოდ 6% გადავიდა ყველაზე დიდი შემოსავლების მქონე ოჯახების კატეგორიაში





# გეორგიული მსოფლიო

www.geworld.net  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე საოცარი მათთვის, ვინც სტალინის ეპოქის შესწავლას იწყებს, აღმოჩნდება ის, რომ ბელადი არასოდეს ყოფილა ალჭურვილი ერთპიროვნული ძალაუფლებით.



# ბელადი იყო სტალინი HTB-ს ფილმის სახელსაზღვროდ ვარსკვლავი სტალინი რვენოსნა

იგი იყო ადამიანი, რომელმაც ათწლეულობით წინასწარ განსაზღვრა ქვეყნის ბედი. ის იყო ლიდერი, რომელმაც თანამედროვე ევროპის სახე შექმნა. მისი სახელი დაუკავშირეს სასტიკ დანაშაულებებს და დიად გამარჯვებებს. მისი ადგილი ისტორიაში ამოშალეს, მისი პიროვნება მითების გალავნით შემორკალეს, რომლის იქით რეალობა დაიკარგა. ფილმის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაწარმოები არ უნდა ნახონ იმათ, ვისაც სტალინი ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად მიაჩნიათ, არც იმათ, ვისაც იგი ჯოჯოხეთის მოციქული ჰგონიათ. ეს ფილმი არის მცდელობა ბელადის ისეთად წარმოჩენის, როგორც სინამდვილეში იყო, შავ-თეთრი მითების გარეშე. რატომღაც იგი დღემდე ჩვენთან და ზოგიერთებს დღესაც მის თავყვანისმცემლებად მოაქცევს, სხვებში კი სიძულვილს იწვევს? ამ კითხვებზეც იპოვით პასუხებს HTB-ს მრავალსერიან მონათხრობში.



მატრაკვეცაა. მაგრამ იგი პარტიულ დისციპლინას იცავს და უფროსი ამხანაგის განკარგულებებს ასრულებს. კამენევი და ზინოვიევიც ძველი ბოლშევიკები არიან, მაგრამ ისინი ოქტომბრის გადატრიალების წინააღმდეგ გამოვიდნენ და არ უწყობდნენ, ამით რა ლაქა მოეცებოდა მათ პარტიულ მოღვაწეობას და როგორ აისახებოდა ეს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში.



თვით ლენინისგან მისთვის ბოძებულ სამემკვიდროდ მიიჩნევა. სტალინისა და ტროცკის დაპირისპირება იმდენად პოლიტიკური ხასიათის არ არის, რამდენადაც მსოფლმხედველური.

გაგრძელება. დასაწყისი №10-12 (197-199)



### მეორე სერია (მეორე ნაწილი)

სტალინი ლენინგრადიდან მოსკოვში ბრუნდება.

ლენინგრადაში კი ნიკოლაევის დაკითხვის დროს გაუღებდა ერთი შეკითხვა, რომელიც ქვეყნის ისტორიულ განვითარებას შეცვლის:

— რა გავლენა ჰქონდა თქვენს გადარჩევილებზე, მოგეკლათ კიროვი, — შეეკითხება გამოძიებელი ნიკოლაევი, — თქვენს კავშირს ოპოზიციონერ-ტროცკისტებთან?

და სანამ სამართალში მიცემული დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაზე ფიქრობს, მოდი, ვნახოთ, რატომ ჰქონდა ამ შეკითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ იმ მომენტში?



Әх, огурчичи, помидорчичи! Сталин Кирова убил в коридорчике!

ეს „ჩასტუშკა“, ანუ შაირი, სწრაფად გავრცელდა ლენინგრადაში.

ამ დროს ძალაუფლებისთვის ბრძოლამ საბჭოთა კავშირში პიკს მიაღწია. 1930 წლისთვის სტალინის წინააღმდეგ განწყობილმა ოპოზიციამ ხელისუფლებაში გამოკვეთილი კონსტრუქციები მიიღო და პოლიტიკური შეტევის იარაღად როგორც პრესა, ასევე შავი პიარი — მთავარი ხმები აქტიურად გამოიყენა.

როცა ხრუსჩოვმა ანტისტალინური კამპანია დაიწყო, ამ ხმებით თავისი „მართალი“ პოზიციის დადასტურება მოინდომა, სამი კომისია შექმნა, მაგრამ არც ერთმა არ დაუდასტურა, რომ სტალინმა თავისი ერთგული მეგობარი, სერგეი კიროვი, მოაკვლევინა.

კომისიები გასული საუკუნის 50-იან წლებში მუშაობდა.

მეოთხე კომისია პერესტროიკის დროს შექმნეს — ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში. შედეგი აქაც იგივე იყო: ვერა და ვერ დაამტკიცეს სტალინის გულბოროტება.

ამჟამად, როცა დოკუმენტები განსაიდუმ-

ლოებულია, ამაში დარწმუნება იოლია, მაგრამ მაშინ მონაწილეების დისკრედიტაციისთვის ნებისმიერი მეთოდი სასურველი შედეგის მომტანი იყო.



ყველაზე საოცარი მათთვის, ვინც სტალინის ეპოქის შესწავლას იწყებს, აღმოჩნდება ის, რომ ბელადი არასოდეს ყოფილა ალჭურვილი ერთპიროვნული ძალაუფლებით: საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობის თვით სტრუქტურა ითვალისწინებდა კოლექტიური გადარჩევილების მიღებას ყრილობებზე, პლენუმებზე, პოლიტიბიუროს მიერ. ასეთი იყო ძალაუფლების ვერტიკალი, იგი აბურდულ და დახლართულ პორიზონტალად წარმოვიდგება. ნებისმიერი გადანაცვლებების მისაღებად ჯგუფების შეკვრაა საჭირო. და ასეთი ჯგუფები ლენინის სიკვდილის შემდეგ იქმნება: ტროცკის ჯგუფი და ზინოვიევისა და კამენევის ჯგუფი.

სტალინი სადღაა?



სტალინი საორგანიზაციო საკითხებზე პასუხისმგებელი იყო აირჩიეს გენერალურ მდივნად, ხელი რომ არ შეუშალს „დიად პოლიტიკოსებს“ „ლენინური მემკვიდრეობისთვის“ ბრძოლაში. მაგრამ იგი მშვიდად და დარწმუნებით ხელში იგდებს ოპონენტებსა და მოკავშირეებზე გავლენის ყველა ბერკეტს.

ტროცკი — სამოქალაქო ომისა და რევოლუციის გმირი — 1917 წლის ზაფხულამდე ბოლშევიკი საერთოდ არ ყოფილა. ამერიკული ემიგრაციიდან ლეიბა ბრონშტეინი (მისი ნამდვილი სახელი და გვარია), გემით ბრუნდება და მხოლოდ 1917 წლის ზაფხულში უერთდება ლენინელებს. ქარიზმატული ორატორი ელვისებურ კარიერას იკეთებს. წესრიგს ამყარებს ფრონტებზე უკან დახვევისთვის ყოველი მეათე წითელარმიელის დახვერვის შემოღებით.

სტალინი მისთვის პროფინციელი უსწავლელი კაცია, მაგრამ სტალინის ზურგს უკან ბოლშევიკური იატაკქვეშეთის 16 წელიწადი აქვს გავლილი, 6 გადასახლება, 8 გამოქცევა გადასახლებიდან. მისთვის ტროცკი მეტიწარა და



მაგრამ სტალინისთვის ძველი ნაცნობები მაცნე უფრო ახლობლები არიან. ორივეს თითქმის 20 წელიწადია იცნობს. ამიტომ, როცა ისინი შესთავაზებენ ხმის მიცემას ტროცკის წინააღმდეგ, იგი შევა ტრიუმფირატში.

კამენევისა და ზინოვიევის მსოფლმხედველობა ცოტათი თუ განსხვავდება ტროცკის მსოფლმხედველობისგან. მაგრამ ისინი პირადად არიან მასთან დაპირისპირებულნი, ვერ ეგუებიან ლეიბა ბრონშტეინს.

რა სურდათ მათ? მსოფლიო რევოლუცია, აი, ესაა წინააღმდეგობის ქვაკუთხედი. რევოლუციონერებისთვის რუსეთი ქვეყანა კი არ არის, ტერიტორიაა, საიდანაც აზვირთდება რევოლუციის ტალღა და მსოფლიოს გადაუვლის.

სტალინი თავდაპირველად ფრთხილად შეეპასუხება, მაგრამ უცებ რიგითი პარტიელების მხარდაჭერას იგრძნობს, რომლებსაც საკმაოდ მობეზრდათ რევოლუციონერობა.



ტროცკი თავის ტალღაზე რჩება, სტალინმა კი დაიჭირა ახალი განწყობილება საზოგადოებაში: დროა, კრეისერი „ავრორა“, რევოლუციის ეს სიმბოლო, სამუდამო ნაცვაყუდელში დადგეს.

ტროცკი დარწმუნებულია თავის პოპულარობაში. მიაჩნია, რომ ერთი ნაბიჯიდა აკლია ქვეყნის პირველკაცობამდე. კამენევი და ზინოვიევი, ეტყობა, შეეგუენ ამ აზრს.

აი ამ მომენტში პარტიელთა კამათი დანგრეული ქვეყნის აღდგენის საკითხებზე კონფლიქტში გადაიზარდა. სტალინის ზომიერი პოზიცია მხარდაჭერილია. ზინოვიევისა და კამენევის გაიყვანენ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან და გარიცხავენ პარტიიდან.

ზინოვიევის ჩამოაცილებენ ლენინგრადის ხელმძღვანელობას, ქალაქისა, რომელსაც



სახალხო კომისარიატის ეს სახლი, რომელიც 30-იან წლებში მოსკოვის ცენტრში აგებული, წმინდა ნყლის ტროცკისტული მემკვიდრეობაა. ამ შენობა-კომუნის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორად ესახებოდათ მომავალი ტროცკის მიმდევრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბინები აქ საკმაოდ ფართოა, არაფერი პირადად და კერძო ნაგულისხმევს არ არის. სახალხო კომისარიატის აქ მცხოვრები თანამშრომლების პირადი ცხოვრება თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად უნდა დარღვეულიყო: ბავშვებს საერთო საბავშვო ბაღებში ჩააბარებდნენ, საღამოებს საერთო კლუბში გაატარებდნენ, სადღილი — საერთო სასადლოში... ქართველი ბოლშევიკისთვის ოჯახური კერის ასეთი მოშლა წარმოუდგენელი რამ იყო.



იმ წლების სტალინური პოლიტიკა სწორედ რომ ტრადიციულ ღირებულებათა განმტკიცებისკენაა მიმართული. ტროცკისტი-ნოვატორების თვალში იგი ყავლგასული კონსერვატორია: ესწრება არა მეიერხოლდის ფუტურისტულ სპექტაკლებს, არამედ მცირე სამხატვრო თეატრში ბულგაკოვის „ტურბინების დღეებს“. უყვარს საოჯახო ვახშამი ზუბალოვის აგარაკზე მაშინდელ სოფლურ რუბლიოვკაში, უბრუნებს საბჭოთა ბავშვებს ნაძვისხის მხიარულ დღესასწაულს. ბრძოლით დაღლილი ხალხი, როგორც წყალნალეული ხეხვს, ეჭიდება ჯერ კიდევ ღარიბულ, მაგრამ მშვიდ ყოფას.

სტალინის გაძლიერება ტროცკის მხედველობიდან გამოიწვია. 1926-ში იგი ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო, რომ მას, ბრწყინვალე ორატორს, უპირისპირდება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური გენერალური მდივანი, რომელსაც იოლად მოიცოლებს ჩვეული რიტორიკით. 1926 წლის ზაფხულში პოლიტიბიუროს სხდომაზე ტროცკი განმგმირავი ირონიით წარმოთქვა:

— ამხანაგი სტალინი პარტიისა და რევოლუციის მესაფლავედ წარმოვიდგება.



# სტალინური ინდუსტრიალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა რუსეთის დედაქალაქის დედა მდინარესთან დაკავშირება, რისი განხორციელებაც რუსეთის დიდმა იმპერიამ 200 წლის წინათ ვერა და ვერ შეძლო.



მაგრამ აპლოდისმენტები არ ესმის: პარტიულ გზებზე აღარ მოქმედებს ამგვარი გამოხდომები. 9 წელიწადი გავიდა რევოლუციიდან. საკმარისია! გვეყვება! 1927 წლის შემოდგომაზე ტროცკი გამოჰყავთ პოლიტიკურს შემადგენლობიდან, გადაასახლებენ ალმა ათაში, შემდეგ კი ქვეყნიდან გაასახლებენ. ტროცკი კრემლის ბინიდან ხელში ატაცებული რომ გამოჰყავდათ, იგი წინააღმდეგობას უწევდა და ყვიროდა:

— შეხედეთ, როგორ ექცევიან დიად რევოლუციონერს! კობა, რატომ უნდა წავიდე მოსკოვიდან, როგორ უნდა ვიმგზავრო?

რაზეც სტალინიმა უპასუხა:  
— Тише едешь, дальше будешь. Дальше поедешь, тише будешь.



მაგრამ ტროცკი უცხოეთში არ გაჩუმებულა. მისი მომხრეები იმალებიან, მაგრამ მაინც დისკუსიონებ სტალინის ჯგუფთან, რომელიც ასე წარმოგვიდგება: მოლოტოვი, კავანოვიჩი, კიროვი, კუბიშევი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი.

ზინოვიევი საჯაროდ იხდის ბოდიშს და იგი უფროსად „ბოლშევიკის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შეჰყავთ, მაგრამ კიროვის მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე — 1943 წლის 1 აგვისტოს იგი აქვეყნებს უზარმაზარ სტატიას, რომელშიც მოითხოვს, უარი თქვან საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციაზე, რადგან მალე რევოლუცია გაიმარჯვებს ავსტრიაში, შემდეგ გერმანია დაამხოვს ნაცისტებს, ჩეხოსლოვაკიაში იზეიმებს კომუნიზმს. მთელი მსოფლიო კომუნიზმის ერთობაში შეერწყმება და არავითარი საგარეო საფრთხე არ დამუქდება საბჭოთა კავშირს. თვით საბჭოთა კავშირიც არ იარსებებს, იქნება ერთიანი კომუნისტური დედამიწა.

სტალინი ზინოვიევს ამ სტატიას არ აპატიებს.



ამ დროს სერგეი კიროვი სტალინის ქვეშევრდკად ერთგული თანამებრძოლი და ხელისუფლებაში გაველინის პიროვნებაა, არა მხოლოდ პარტიის უსაყვარლესი ადამიანი, როგორც მას სტალინი უწოდებდა, არამედ მისი უახლოესი მეგობარია: ყოველწლიურად ერთად ისვენებენ სოჭში.

სტალინი წერს წერილს ცოლს ისე, თითქოს კვლავ თბილისის ობსერვატორიაში მუშაობდეს: „აქ ჯერჯერობით კარგი ამინდია. მე და კიროვმა გუშამ 12 საათზე გავზომეთ ტემპერატურა ქვემოთ პუზანოვკასა და ზემოთ, სადაც ახლა ვცხოვრობ. განსხვავება რიანურით სამი გრადუსი იყო, ახალი ავარაკის სასარგებლოდ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენთან აქ, ზემოთ ისეთივე ტემპერატურაა, როგორც გავრასა და სოხუმში. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ვიყავი ზღვაზე. ვიბანავე. ძალიან კარგია. კვლავაც ნავალ. კიროვთან ერთად კარგი დრო გავატარეთ.“

**რუპან სერგეივი, სტალინის შვილობილი — არტიომ სერგეივის ვაჟი:**  
— მამაჩემის მოწმობით, კიროვი სტალინის უახლოესი მეგობარი იყო. ისინი ერთად ასწორებდნენ წიგნს — „საკ.კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი...“ სტალინი ძალიან მიმიმედ განიცადა კიროვის დაღუპვა.



სტალინის ძალაუფლებაში მყარი დასაყრდენი სჭირდებოდა და ასეთი იყო კიროვი, რომელსაც კავკასიიდან იცნობდა. ისინი ერთად შედგენდნენ ოპოზიციასთან გამკლავებას, რომელიც ამჟამად ტროცკისტულ ოპოზიციად ჩამოყალიბდა.

ამიტომ იყო უარესად მნიშვნელოვანი 1934 წელს კიროვის მკვლელობის დაკითხვის დროს გამოძიების მიერ დასმული შეკითხვა, რომელმაც დიდად შეცვალა სსრ კავშირის ისტორია.

— თქვენს გადაწყვეტილებაზე, მოგეკლათ კიროვი, რა გავლენა იქონია თქვენმა კავშირმა ოპოზიციონერ ტროცკისტებთან?

— ჩემს გადაწყვეტილებაზე, მომეკლა კიროვი, გავლენა იქონია ჩემმა კავშირმა ოპოზიციონერ-ტროცკისტებთან — ბარდინთან, შაცკისთან, კატუნევთან და სხვებთან.



იგზავნება დებუმა მოსკოვში. მონაცემები დასახელებულ მოქალაქეებზე — ლენინგრადის კომკავშირის ბელადებზე უკვე მოაოვეებულია: სამოქალაქო ომის პერიოდში ყოფილი იატაკქვეშელები, ანარქისტები, ტროცკის თანამებრძოლები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი პირადად ამხანაგ სტალინის მიმართ.

ერთი დღის შემდეგ ნიკოლაევი უფრო კონკრეტულად უპასუხებს გამოძიებელს:  
— დაახ, მე ვიყავი ტროცკისტულ-ზინოვიევი, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი.

ტროცკის გვარს ემატება ზინოვიევის გვარი.



აკადემიის გამომცემლობის მთავარ რედაქტორობამდე დაქვეითებულ კამენევს ამასობაში სვეტიცხლან დარბაზში კიროვთან გამოსამშვიდობებლად ურიგოდ შეჰყავს მწერალი კორნეი ჩუკოვსკი. ეს სერგეის დამცველი ნითეღარ მიელები ჯერ კიდევ ცნობენ ლენინის თანამებრძოლ კამენევს. ჩუკოვსკი ახალი სახეა.

რამდენიმე დღეში კამენევს დააპატიმრებენ. ჩუკოვსკი თავის დღიურში ჩანერს:



„ნუთუ იგი ასეთი არამზადაა?! ნუთუ მას რაიმე კავშირი ჰქონდა კიროვის მკვლელობასთან?! ამ შემთხვევაში იგი ზებუნებრივი ფარისეველია, რადგან კიროვის კუბოსკენ იგი ჩემთან ერთად ღრმად დამწუხრებული მიდიოდა. აღმფრთხილები იყო საზოგადოებრივი და თავი ისე მოჰქონდა, თითქოს მხოლოდ ლიტერატურითა და კავებული. გამომართვა სტატია შექსპირის შესახებ და, ისე ჩანდა, სრულად ჩაფლულია თავის ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ დროს კი...“

ამ დროს კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გენრიხ იაგოდა სტალინისგან მიიღებს დავალებას, გაარკვიოს ამ მკვლელობის პოლიტიკური საფანელი.

დრო უძნელესია.

მსოფლიო რევოლუცია აჩრდილად იქცა.



გერმანიაში ძალაუფლება ნაცისტებმა იგდეს ხელთ. საბჭოთა კავშირი ციხესიმაგრედ უნდა იქცეს. მას კი ახალი შაშხანების სანარმოებელი ფული არ გააჩნია. უფრო უარესია ის, რომ ოქროს მარაგი ვანადგურებულია ნების პოლიტიკის — ლენინის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით. ენერგომეცველების ექსპორტი მოგებას არ იძლევა. ქვეყანაში არნახული ეკონომიკური კრიზისია. საბჭოთა კავშირი იღებს სესხებს, რომლებიც ხორბლით უნდა გაისტუმროს.



კოლექტივიზაციამ საკვები პროდუქტების პრობლემა კი გადაწყვიტა, მაგრამ გამანარაგლებობა, დაასუსტა სოფელი და გამოიწვია სოფლებიდან ქალაქად მოსახლეობის ტალღის აზვირთება.

სწორედ ამ დროს საბჭოთა კავშირში ჩნდება მეტალურგიული კომბინატები — ბელაგორსკის, კუზნეცის, ზაპოროჟიის; სტალინგრადისა და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნები; კომბაინები მზადდება როსტოვში, ნიჟნი ნოვოროდში — ავტომობილები, ავიაქარხნები აშენდა მოსკოვში, სამარაში, ვორონეჟში.

საექსპლუატაციოდ ჩაბარდა დნებოროვსკი და თურქსიზი. წინა პერიოდის არეული და კრიტიკულ სიტუაციასთან შედარებით, ის, რაც ქვეყანაში ხდება, მშვიდი და მამლარი ცხოვრების იმედს აძლევს ხალხს.



— ცხოვრება უკეთესი გახდა, ამხანაგებო, ცხოვრება მხიარული გახდა! როცა ცხოვრება მხიარულია, შრომაც სახალისია. ჩვენთან კრიზისი რომ იყოს, ჩვენთან რომ იყოს უმუშევრობა — მუშათა კლასის უბედურება, ჩვენთან სიღატაკე რომ იყოს, ჩვენი პროდუქცია რომ არ იზრდებოდეს, ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს ასეთი კარგი მთავრობა რომ არ ჰყავდეს, რომელიც მათზე ზრუნავს და ანგარიშს უწევს მათ საჭიროებას, ცუდად და უხალისოდ რომ ვცხოვრობდეთ, მაშინ არავითარი სტახანოვიური მოძრაობა არ გვექნებოდა, გარნმუნებთ!

ასე მიმართა სტალინი სტახანოვიური მოძრაობის მოწინავე მოწინაელებს კრემლში მონეულ შეკრებაზე.



1937 წელს გაიხსნა ვოლგა-დონის არხი, რომელმაც მოსკოვი 5 ზღვის ნავსადგურად აქცია.

ამ არხის მშენებლობაზე ფართოდ იყო გამოყენებული პატიმართა შრომა, რისთვისაც სპეციალური ბანაკიც კი გაიხსნა — დიმიტროვლავი. შედეგად 4 წელიწადში განხორციელდა გრანდიოზული პროექტი, რომლის ავტორი ჯერ კიდევ პეტრე პირველი იყო. ე.ი. სტალინური ინდუსტრიალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა რუსეთის დედაქალაქის დედა მდინარესთან დაკავშირება, რისი განხორციელებაც რუსეთის დიდმა იმპერიამ 200 წლის წინათ ვერა და ვერ შეძლო.

აქ, ამ წყალშესაყრის ორ ნაპირზე იდგა ორი გოლიათის ფიგურა — ლენინის, რომელიც რუსეთის ძეგლთა შორის დღესაც უდიდესია, და სტალინის, რომლის ქანდაკება პოსტამენტიდან ხრუშჩოვის „დათბობის“ დროს ჩამოაგდეს.




მაგრამ ამ ძეგლებით კი არ არის ღირსშესანიშნავი ეს ადგილი, არამედ იმით, რომ აქ წარმოდგენილია მხოლოდ ერთ-ერთი რეალიზებული პროექტი მასშტაბური სტალინური ინდუსტრიალიზაციის: მარტო აქ, არხის გაყოლებაზე აიგო 11 რაბი და 7 ელექტროსადგური.

დღევანდელი გადასახედიდან ეს წარმოუდგენელ გარღვევად გვეჩვენება, მაგრამ მაშინ ყველა უკმაყოფილო იყო პირველი ზუნღედების ტემპებითა და შედეგებით და მათ ჩაჯარუნას აღიარებდნენ. მაგრამ ყველაზე სერიოზულ პრეტენზიებს სტალინური კოლექტივიზაციის მიმართ გამოთქვამდნენ.

ამხანაგები სტალინის ლამის სისხლიან ტირანს უწოდებენ. სტალინი თითქოს თავს იმართლებს, აღიარებს დაშვებულ გადახრებს, მაგრამ ასაბუთებს მათ ისტორიული აუცილებლობით: დროა მკაცრი და ღონისძიებებიც მკაცრია.

პლენუმის სტენოგრამის გამოქვეყნება 1932 წლის გაზეტებში აკრძალეს.



სტალინი ცენტრალური კომიტეტის იმ პლენუმზე ამბობდა:

— აქ ყვიროდნენ: ხვრეტენ გლეხებს. ვის ხვრეტენ? ტყუიან... მსგავსი არაფერი ხდება. თავთავებისთვის ხვრეტენ? სისულელეა. არ არის სწორი! სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელები, უმეტესად, ინტელიგენტები, ყოფილი ოფიცრები არიან. მათი ჩვენებები ძალიან საინტერესოა. როგორ უწოდებენ კოლმეურნეობაში, როგორ დათესეს, როგორ იპარავენ თესლს და როგორ ჩნდებოდა გამელოტებული ადგილები. ეს შესანიშნავი ამბავია, მთელი ეპოპეა. მავნებლობდნენ იმისთვის, რომ დაეშალათ კოლმეურნეობა.

ჩვენ რა, უკან უნდა დავიხიოთ ამ არამზადების წინაშე? არა. ჩვენ მათ დავაპატიმრებთ და მათ ადგილებზე დავანინებთ პატიოსან, უპარტიო ადამიანებს. ამხანაგო სმირნოვ, ამ ყველაფერს ნუ ენდობით!

ამხანაგი სმირნოვი რსფსრ სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარია, გლეხთა ინტერნაციონალის ხელმძღვანელი. 1937 წელს სმირნოვს დახვრეტენ.

ამ დროს კი დასავლეთში ბევრი ადამიანი საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპათიურადაა განწყობილი. სტალინიდან ჩამოდიან მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მწერლები. დასავლეთში დეპრესია მძინევარებს, საიდუმლოებით მოცული საბჭოთა ზუნღედების მიღწევები კი მომაჯადოებელია.

ლიონ ფეიხტვანგერი, ემილ ლუდვიგი, ანრი ბარბუსი, რომენ როლანი წერენ ქვეყნის შესახებ და ესაუბრებიან სტალინის. მხოლოდ ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ანდრე ჟიდა უკმაყოფილო — სტალინი კატეგორიული წინააღმდეგია ერთსქესიანთა ქორწინების.

**გაბრძელება იძენება**  
ტელევიზიის საგაზეთო ვარიანტი **მოაშადა არმაზ სანაბლიძე**




www.geworld.net  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### უნიტაზი კატაბისთვის

48 წლის ავსტრალიელმა დინიანერმა ჯო ლაპიჯმა სპეციალურად კატებისთვის უნიტაზი შექმნა. მონაცემების მიხედვით „LitterKwitter“ ჰქვია. ჯო თავდაპირველად უნიტაზის გამოყენება საკუთარ კატა დუგალს ასწავლა. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ კატამ ადამიანის მსგავსად უნიტაზზე დაჯდომა შეძლო. ჯო შინაური ცხოველის მაგალითზე მომხმარებელს უმტიკიცებს, რომ კატის უნიტაზი ისევე კომფორტულია პატრონისთვის, როგორც ამ შინაური ცხოველისთვის.



### უნიკალური შავ-თეთრი პითონი

აშშ-ში უნიკალური გველი — მდედრობითი სქესის სამეფო პითონი იყიდება. იშვიათი შეფერილობის გველის ფასი 16 000 აშშ დოლარია. გველის პატრონის, კოლინ უივერის, თქმით, ასეთი ფერის პითონი განსაკუთრებულია და ის მხოლოდ საფუძვლიანი სელექციის შედეგად გაჩნდა, რასაც კოლინმა 7 წელი მოანდომა. უივერი ირწმუნება, რომ მისი სამეფო პითონის განმავლობაში მხოლოდ ასეთივე ფერის მხოლოდ ორი

გველი არსებობს. აქედან ერთ-ერთი ისე უივერის გამოყვანილია. როგორც პითონის პატრონი აცხადებს, ასეთი სახის მუტაცია გველებს არა მხოლოდ მრავალფეროვანს და მიმზიდველს ხდის, არამედ პითონთა მოშენებისთვისაც ძალიან კარგია. ცნობილია, რომ სასურველი შედეგის მისაღებად წლებია საჭირო, ვინაიდან სამეფო პითონები მთელი ცხოველების განმავლობაში მხოლოდ 6 კვერცხს დებენ.


## მინისქვეშა ქალაქი ავსტრალიაში

ავსტრალიაში არის პატარა მალაროელთა ქალაქი კუბერ-პედი, რომელიც მთლიანად მინის ქვეშაა გაშენებული. ეს ქალაქი ქვეყნის სამხრეთ ნაწილშია, სადაც უდაბნოს კლიმატია.



მინისქვეშა ქალაქი 1915 წელს, მას შემდეგ შეიქმნა, რაც ამ ტერიტორიაზე ძვირფასი ქვის, ოპალის, საბადო აღმოაჩინეს. მაღალი ტემპერატურის გამო, მალაროელებმა მინისქვეშა საცხოვრებელი ფართობი გათხარეს. მაღარო დღემდე მოქმედებს. იქ მომუშავე ზოგიერთი

ადამიანი ჯერ კიდევ მინის ზემოთ, 40-გრადუსიან სიცხეში ცხოვრობს, ხოლო მათ, ვინც მინის ქვეშ ცხოვრება არჩიეს, საკმაოდ კარგი კომფორტი აქვთ შექმნილი. მათ სახლებში გრილა, ტემპერატურა 24 გრადუსს არ აღემატება, ხოლო ტენიანობა 20%-ია. დიდი ხნის განმავლობაში კუბერ-პედის შესახებ ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა. 1980-იან წლებში ავსტრალიის ამ უდაბნოს ათასობით ტურისტს მოაწყდა. 1981 წელს ადგილობრივმა უმბერო კორომ მინის ქვეშ პირველი სასტუმრო ააშენა. ახლა ქალაქში 3000-მდე ადამიანი ცხოვრობს და ისინი ყოველდღიურად აფართოებენ მინისქვეშა ქალაქის ტერიტორიას.



### აპერიკელი ეპოპლას სიყვარულის ნაკლებობის გამო უჩივის

ნიუ იორკში მცხოვრები 32 წლის ბერნარდ ბეი მშობლებს სიყვარულის ნაკლებობის გამო სასამართლოში უჩივის. მამაკაცის თქმით, მშობლებს ის არ უყვართ და კომპენსაციის სახით 200 000 დოლარს ითხოვს.

ბერნარდი უსახლკაროა და ამაში მშობლებს ადანაშაულებს. უფროსი ბიძგის თქმით, საუბარში მამაკაცმა განაცხადა, რომ სახლიდან 12 წლის ასაკში წავიდა, რადგან მშობლებისგან სიყვარულს არასდროს გრძნობდა და მათგან სიტყვიერი შეურაცხყოფის ატანა უწევდა. მოგვიანებით კი სმა დაიწყო. ბერნარდი ამტკიცებს, რომ მისი დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ მშობლების ბრალია. მან ბრუკლინის სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა. სარჩელში მიუთითა, რომ მშობლების არასაკმარისი სიყვარულის გამო თავს სამყაროსგან გარიყულად იგრძნობდა და თვლის, „ვერასდროს ვგრძნობდი,

რომ მშობლებს ვუყვარდი. ჩვენ ოჯახი არასდროს გვეკონდა. ისინი ჩემზე არ ზრუნავდნენ. როდესაც სახლიდან გავიქეცი, 12 წლის ვიყავი. შემდეგ დავბრუნდი, მაგრამ დეიდა მითხრა, რომ, სანამ სახლში შემიშვებდა, 45 წუთი გარეთ უნდა ვმდგარიყავი“, — ამბობს ბერნარდი. ბერნარდის დედა აცხადებს, რომ ის და მისი მუდმივ ვაჟისთვის ასეთი დიდი ოდენობის თანხის მიცემას არ აპირებენ. „ბერნარდს საკუთარი ფული არასდროს ჰქონია. არასდროს უმუშავია, ამიტომაც დროა, წავიდეს და სამსახური მოძებნოს“, — განაცხადა ბერნარდის დედა.

## აპერიკელმა სახლი ნაპრისგან ააშენა

კალიფორნიის შტატში, ქალაქ კამბრიაში უცნაური ნაგებობა დგას, რომელიც ახლა უკვე ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად ითვლება. უნიკალური სახლი ნაგვისგანაა აშენებული.

მისი შემქმნელი არტურ ბილია. ბილს ძალიან უყვარდა სხვადასხვა გამოუსადეგარი ნივთის შეგროვება და ვერაფრით ელეოდა მათ. დროთა განმავლობაში მის მიერ შეგროვებული ნაგავი ნამდვილ ბარიკადად იქცა და ცოტაც და უცნაურ კოლექციონერს თავზე დაემხოვდა. ბილიმა გადაწყვიტა, გამოუსადეგარი ნივთებით ნამდვილი სახლი აეშენებინა. შენობას არტურმა Nit Wit Ridge-ი დაარქვა და მის აშენებას თითქმის მთელი ცხოვრება მოანდომა. მას არაფერი გაეგებოდა არქიტექტურის და თან მარტო მუშაობდა. სახლის ასაშენებლად არტურმა ყველაზე უცნაური ფუნდამენტი შექმნა — მან გი-

განტური ორმო ამოთხარა, ხოლო შემდეგ ის სხვადასხვა სახის ნაგვით აავსო. ამას მოჰყვა ტერასების, დეკორატიული არქების, ბილიკებისა და შადრევნების აწყობა. სხეულისთვის გამოუსადეგარ ნივთებს თითქმის ყოველდღე ეზიდებოდა. ცოტა ხნის წინ Nit Wit Ridge-ის შემქმნელი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ნაგვისგან შექმნილი სახლი მაიკლ და სტენის ომელების მფლობელობაში გადავიდა, რომლებიც არტურ ბილს დიდ პატივს სცემდნენ და ეხმარებოდნენ. ახლა Nit Wit Ridge-ს ყოველდღე სტუმრობენ ტურისტები, რომლებსაც არტურის ისტორიას სახლის ახალი მფლობელები უყვებიან.



## მსოფლიოში სახელგანთქმული პოლიგლოტა

პოლიგლოტს ბევრ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს უწოდებენ. თანამედროვე მსოფლიოში უამრავი ენა არსებობს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ბევრი ენის ათვისება? თვითონ პოლიგლოტები ამას დადებითად პასუხობენ — დიახ, შეუძლია, თუკი ენების შესასწავლად ადამიანს მოთმინება, შრომისმოყვარეობა, სურვილი, ნებისყოფა და ენერჯია ეყოფა.

ზოგიერთი პოლიგლოტის ბიოგრაფიას სათავგადასავლო რომანივითაც კი წაიკი-

თხავ. ამ გასაოცარ ადამიანთა ცხოვრება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანის შესაძლებლობები განუსაზღვრელია. კაცობრიობის ისტორიაში პირველ პოლიგლოტად პონტოს მეფე მითრიდატ VI ევპატორს ასახელებენ. ამბობენ, რომ მან 22 ენა იცოდა. ძველი დროის ყველაზე ცნობილი ქალი-პოლიგლოტი კი ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი (69-30 წწ. ჩ.წ.აღ-მდე) კლეოპატრა იყო. მან არანაკლებ 10 ენა იცოდა, ბერძნულსა და ლათინურთან ერთად. კრისტინა რასმუს რასკი (1787-1832) დიდი დანიელი ენათმეცნიერი, 230 ენაზე ლაპარაკობდა თვისუფლად;



ჯუზუპე მეცოფანტი



კრისტინა რასმუს რასკი



მითრიდატ VI ევპატორი

კიდებლად, წიგნებით ისწავლა. წარმოშობით ლიბანელი ზიად ფაუზი (დაიბადა 1954 წ.) კი ბრაზილიაში ცხოვრობს. თავისუფლად ლაპარაკობს, კითხულობს და თარგმნის 58 ენიდან. 1997 წელს გინესის რეკორდების წიგნმა ის პლანეტის მთავარ პოლიგლოტად დაასახელა.



### იდეალური სხეობა

რა სხვაობა უნდა იყოს სიმაღლეში ქალსა და კაცს შორის? ჰოლანდიაში მეცნიერებმა იდეალური მაჩვენებელი აღმოაჩინეს. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ, რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, მამაკაცი აუცილებლად ქალზე მაღალი უნდა იყოს. ქალები მათთან თავს უფრო დაცულად გრძობენ. სუსტი სქესის წარმომადგენლებს სურთ, რომ მათი პარტნიორი მათზე 20 სმ-ით მაღალი იყოს. თავის მხრივ, მამაკაცებს სურთ, რომ ქალი მათზე 7.5 სმ-ით იყოს დაბალი. გამოკითხვაში მონაწილეობა 50 000-მა ადამიანმა მიიღო. აღმოჩნდა, რომ მამაკაცის იდეალური სიმაღლე 190 სმ-ია, ხოლო ქალის — 174-სმ.

## პლანეტის ყველაზე მოხუცი ქალი 115 წლის მისაო ოკავაა

იაპონიაში, ქალაქ ოსაკაში მცხოვრები მისაო ოკავა პლანეტის ყველაზე მოხუც ქალბატონად აღიარეს. მარტში მისაოს 115 წელი შეუსრულდა.

ყველაზე მოხუცად ოკავა ჯერ კიდევ იანვარში ორგანიზაცია Gerontology Research Group-მა აღიარა. ახლა რეკორდი გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმაც დაადასტურა.

მისაო ოკავა 1898 წლის 5 მარტს ოსაკაში, კიმონოს ოსტატის ოჯახში დაიბადა. მას სულ სამი შვილი ჰყავდა. ორი მათგანი ცოცხალია და ერთმა



ცოტა ხნის წინ 90 წლის იუბილე აღნიშნა. იაპონელ ყველაზე ხანშიშესულ ქალბატონს 4 შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი ჰყავს.

მისაომდე ყველაზე მოხუცი ქალის ტიტულს ასევე იაპონელი — კოტო ოკუბო ატარებდა. ის 2013 წლის დასაწყისში გარდაიცვალა.

მსოფლიოში ყველაზე მოხუცი მამაკაცი ასევე იაპონის მოქალაქე, 115 წლის ძირიუმონ კიმურაა.

შეგახსენებთ, ქართველი ქალბატონი ანტისა ხვიჩავა 2012 წელს 132 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**გეოგრაფიული**  
საერთაშორისო გეოგრაფიული და მსოფლიო  
www.geworld.net  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### 6 წლის ბიჭმა წიგნი დაწერა

6 წლის დილან სიგელმა, რომელიც ლოს-ანჯელესში ცხოვრობს, ავადმყოფი მეგობრის, ჯონ პურნაზარაიანის, დასახმარებლად წიგნი დაწერა. 7 წლის ბიჭს იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადება — გლიკოგენოზი აქვს.

ჯონის გადასარჩენად მისი უმცროსი მეგობარი თავის დაწერილ წიგნებს ყიდის. 16-გვერდიანი თხზულებას „შოკოლადის ბატონი“ ჰქვია.

წიგნის გამოცემისთვის თანხები დილანის მშობლებმა გაიღეს, ხოლო წიგნისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად ძალისხმევა არ დიშურა სუპერმარ-

კეტმა Whole Foods. სუპერმარკეტი ყოველ შექმნილ წიგნზე კლიენტს შოკოლადს ჩუქნის.

პატარა ბიჭმა წიგნის გაყიდვით ეგვიპტურებით უკვე შეაგროვა 30 000 დოლარი.

გარდა ამისა, იშვიათ დაავადებას, რომელიც მის მეგობარს აქვს, ახლა საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება ეთმობა.

სამწუხაროდ, პატარა მწერლის მეგობრის დაავადების განსაკურნებლად, მედიკამენტი ჯერ არ არსებობს, ამიტომ დილანის შეგროვილი თანხა ფლორიდის უნივერსიტეტის ბავშვთა ცენტრში გადაიღობა.

## სახლი გრინარე ღრინაზე

სერბეთში მდინარე ღრინაზე პანანინა სახლი დგას, რომელიც ადგილობრივებსა და ტურისტებს იზიდავს. ხის ქოხი სერბეთის ქალაქ ბაინა-ბაშტასთან ახლოსაა. სახლი მდინარის ცენტრში მდებარე კლდეზეა აშენებული და მისი ფანჯრებიდან ულამაზესი ხედი იძლება. ამ სახლმა განსაკუთრებული პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც ჟურნალ National Geographic-ში მისი ფოტოსურათები დაიბეჭდა. ეს სახლი 45 წელია სტუმრებს მასპინძლობს.

ქოხს საინტერესო ისტორია აქვს. ის პატარა ბიჭების ჯგუფმა 1968 წელს ააშენა. ისინი მდინარეში ცურვის შემდეგ წყალში მდებარე კლდეზე ირუჯებოდნენ, მაგრამ უსწორმასწორო კლდე არაკომფორტული იყო, ამიტომაც ბიჭებმა მდინარესთან ახლოს მდებარე დაწვრილი ფარდულიდან ფიცრები მოიტანეს, შემდეგ კი ქოხი ააშენეს. 45 წლის განმავლობაში სახლი წყალდიდობების შედეგად დაზიანდა.



### ქალმა სასამართლოს წაიღოებითი ჩვენება მისა

ბრიტანეთში პოლიციელი ძალი მოწმის სტატუსით „დაკითხეს“. ცხოველმა სასამართლოს წერილობითი ჩვენებაც „მისცა“.

პროკურატურის წარმომადგენლებმა რამდენიმეჯერ მიმართეს ოთხფეხა პოლიციელს, სახელად Peach-ს და ეჭვმიტანილის დაკავების დეტალების შესახებ წერილობითი მოხსენების დაწერა სთხოვეს. Peach-ი თავად იღებდა მის დაჭერაში მონაწილეობას.

გერმანული ნაგავის პატრონმა სცადა პროკურატურისთვის იმის ახსნა, რომ ძალი ვერ შეძლებდა მონაწილის როლის მორგებას და მიუშვეს წერილობითი ჩვენების მიცემას, მაგრამ ამან არ გაჭრა.

პატრონი მიხვდა, რომ პროკურატურებს ვერ დაარწმუნებდა და მისი ძალის ნაცვლად ჩვენება თავად დაწერა. სპეციალურ ბლანკზე მან ბავშვური კალიგრაფიით შემდეგი ტექსტი დაწერა: „მე მას მივდექ. მე მას ვეპენ. ცუდი ადამიანია. ის გემრიელია. Peach-ი კარგი ბიჭია“.

ასაკისთვის განკუთვნილ გრაფიკულ ძალის პატრონმა ჩაწერა, რომ მონაწილე 4 წლისაა, ხოლო ხელმოწერის ნაცვლად ძალის თათის ანაბეჭდი დახატა.

ძალის წერილობითი ჩვენება მალევე გახდა პოპულარული სოციალურ ქსელებში. მიიღეს თუ არა ჩვენება და განიხილა თუ არა ის სასამართლომ, უცნობია.



### სსტუმრო ნაგავსაყრელზე

შედეგში თავი უსახლკაროდ რომ იგრძნო, ფულის გადახდა მოგინებთ.


ქალაქ გეტებორგში მდებარე სასტუმრო „Faktum Hotels“ წარმოადგენს ლეიბს, რომელიც ნაგავსაყრელზე გდია და მისთვის 10 დოლარის გადახდაა საჭირო. ადმინისტრაცია სტუმრებს იმ ადგილებზე უსახლკაროები ყველაზე ხშირად იკრიბებიან. როგორც მენეჯერი ამბობს, სტუმრებს ყველაზე მეტად გვირაბებში,

ტყეში, პარკებსა და ხიდის ქვეშ ძილი ურჩევნიათ. ნომრის ღირებულებაში უსაფრთხოებაც შედის — სტუმარს სხვა ადამიანები არ შეაწუხებენ. პროექტი მიზნად ისახავს, ყველამ გააცნობიეროს, თუ რას ნიშნავს ზამთრის სიცხეში თბილი ლოგინის ნაცვლად ქუჩაში ძილი. ადმინისტრაცია იმ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, რომლებიც გეტებორგში მცხოვრებ უსახლკაროებს ეხმარებიან.

### ხეხსლოვანი ჩანჩქერი



ჩვენს პლანეტაზე არსებობს ასეთი ჩანჩქერი და მას ჰქვია Horsetail Fall, ანუ ცხენის კუდი. ის მდებარეობს აშშ-ში შტატ კალიფორნიაში. საინტერესო ისაა, რომ გარკვეული პერიოდში, კერძოდ კი თებერვალში, აქ წყლის მაგივრად ცეცხლი მოედინება. მიზეზი ბევრად მარტივად იმასთან შედარებით, რაც ამ სანახაობის მხილველმა შეიძლება იფიქროს. ჩანჩქერი ძალიან ახლოსაა კლდეებთან, ხოლო მზის სხივების სხვა კუთხით დაცემის გამო, ჩვენ გვეჩვენება რომ წყლის მაგივრად აქ გაფარვარებული მეტალი მოდის. სწორედ თებერვალში მთელი მსოფლიოდან აქ უამრავი ტურისტი და ფოტოგრაფი მოდის.



# აშშ-ის კარდიოლოგების მიერ აღიარებული ქართული პრეპარატი გულს 30 წლით «ასახლავს»

ქართველები რატომღაც ყურადღებას ვამახვილებთ ჩინური, ტიბეტური, ინდური, არაბული მედიცინის საფუძველზე შექმნილ, სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებულ საშუალებებზე. გვაინტერესებს, რომ სიტყვა „მედიცინა“ კოლხი მკურნალი ქალის მედეასგან იღებს საფუძველს, ხოლო „მედეას“ მამიდას — ჰეკატეს კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ბაღი ჰქონდა გაშენებული. თითქმის 30 წელზე მეტია, რაც მეცნიერულად ვამუშავებდი ძველ ქართულ მედიცინაზე დაწერილ უამრავ წყაროს, ენციკლოპედიას და ადვოკატურულ უძველეს ქართულ კარბონატებში მოცემულ, საუკუნეებით გამოცდილ რეცეპტებს. ჩემი მრავალწლიანი კვლევის საგანს შეადგენდა, დამედგინა, რა იგულისხმებოდა იმ სასწაულმოქმედი ბალახის ქვეშ, რომელსაც მედეა ძალზე სწირად იყენებდა და რომელიც ცნობილია, ისტორიული წყაროების მიხედვით, „პრომოთეს ბალახის“ სახელწოდებით.

ქართველი მეცნიერი კახა სპაბსტარიშვილი სწორედ ერთ-ერთი მათგანია, ვინც ამ უნიკალურ რეცეპტურაზე დაყრდნობით ქმნის თავის პრეპარატებს.

კახა სპაბსტარიშვილი, ექიმი-პრომოთეატი, აკადემიკოსი:

— ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ ბალახის შეზავებით მომზადებულ წამალს გააჩნდა სასწაულმოქმედი ძალა. ისტორიულ წყაროებზე მუშაობის დროს ნაპოვნად ამ მცენარის აღწერილობასაც: „ფესვი ახლად გადაჭრილ ხორცს ჰგავს... მისი წვენი მთავი ნაზარდი ნივთის შავი სითხის ფერია“. სხვა, ძველ ბერძნულ წყაროს მიხედვით კი: „ამ სასწაულმოქმედ ბალახის ფესვს გულის ფორმა ჰქონდა!“ ბერძენი ავტორების მტკიცებით, ეს ბალახი მხოლოდ კავკასიაში ხარობს და უძლიერესი სამკურნალო თვისების მატარებელია. ამ მცენარის უძლიერესი მატინიზირებული ფეხები გამოწვეული იყო გულის კუნთზე უდიდესი გამაჯანსაღებელი მოქმედებით, რაც გა-

მოვიყენე კიდევ ჩემ მიერ შექმნილ „გულის ელექსირში“. ჩიხში შესულ კლასიკურ მედიცინაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. საერთაშორისო სახელის მქონე მეცნიერები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ 21-ე საუკუნე აღარ იქნება კლასიკური მედიცინის ხანა. ძველ ეგვიპტეში ჩვ.წ.აღ.მდე მრავალი საუკუნით ადრე იმავ ეხნატონის დინასტიის მედიცინა ბევრად მაღლა იდგა თანამედროვეზე. ჯერ მართო თავის ტვინზე ჩატარებული ოპერაციები რად ღირს, როდესაც თავის ქალის ტრეპანაციის გარეშე სიმსივნის „ლიკვიდირება“ ცხვირის ნესტოებიდან ხდებოდა.

— ამ რეცეპტურის მიხედვით არის შექმნილი თქვენი „გულის ელექსირი“?

— დიახ. პრეპარატი იქმნება და გადიდება გამოცდას თითქმის 10 წლის განმავლობაში. ის მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისგან შედგება და მისი მიღება შეიძლება ექიმის დანიშნულების გარე-

შეც. ელექსირი ზრდის გულის შეკუმშვის ძალას, ამასთანავე ამცირებს მის სისხშირეს, ამიტომაც ყველა ორგანოსა და ქსოვილის სისხლმომარაგება უმჯობესდება.

— ცნობილი ექიმის, პროფესორ დიმიტრი ტვილდიანის განცხადებით, აშშ-ის წამყვანი კარდიოლოგების აზრით, „გულის ელექსირის“ სისტემატური მიღების შედეგად, 75 წლის ადამიანის გული, მინიმუმ, 30 წლით „ასახლავდება“?

— საქმე ისაა, რომ პრეპარატის სისტემატურად მიღების შედეგად 75 წლის ადამიანის გულის კუნთის — მიოციტების მდგომარეობა 35-40 წლის ჯანმრთელი ადამიანის გულის კუნთის პარამეტრებს შეესაბამება. ჩვენს დიაგნოსტიკურ კლინიკას ნიუ იორკში უამრავი ქართველი ემიგრანტი მიმართავს. მათ შორის



ბევრია ისეთი, რომლებიც წლების განმავლობაში „გულის ელექსირს“ იღებენ. შედეგები სახეზეა — პაციენტების გულის მუშაობა საგრძნობლად უმჯობესდება. ექსპერტების აზრით, ამ პრეპარატის მუშაობას უფრო ფართო სპექტრით გააჩნია, ვიდრე ინსტრუქციაშია მითითებული.

P.S. პრეპარატის შექმნა შეგიძლიათ „პე-ის-პე“, „ჰი-პი-სი“-სა და „სახლავს აფთიაქის“ ძალაში.

# ასახლავს გულისკოსები გერმანიაში გასტროლს გაგართავენ



მესუთე ნელინადა, რაც გერმანიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის Eurocon e.V-ის ეგიდით ფუნქციონირებს მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერის საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“. პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასსტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. „კამერტონის“ ერთ-ერთი პროიორიტეტია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ მო-

ზარდთა გასტროლების მონაწილეობა და გერმანელ თანატოლებთან ერთობლივი კონცერტების ჩართვა გერმანიის ქალაქებში და ვინაიდან პროექტი გაცვლითი ხასიათისაა, მსგავსი კონცერტების გამართვა გერმანიაში სტუმრად მყოფი ახალგაზრდების სამშობლოში. „კამერტონის“ ხელმძღვანელია ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი **ლიუდვილა ფონ ბერგი**. პროექტის მხარდაჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი.

„კამერტონის“ პარტნიორი ქვეყნების რიგს 2011 წელს საქართველოც შეემატა. პროექტში საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელია პიანისტი **პირა ლეღაშვილი**. შარშან საქართველოში უკვე მესამე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ლიუდვილა ფონ ბერგი რამდე-

ნ. ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლე **სანდი ვარტანოვი** (ვიოლინო). გიორგი ოიკაშვილი, ინალ ჯიოვი და სენდი ვარტანოვი შარშანაც მონაწილეობდნენ „კამერტონის“ ეგიდით გამართულ კონცერტებში, როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოშიც, როდესაც თბილისს საპასუხო შემოქმედებითი ვიზიტით ესტუმრნენ ბერლინის კარლ ფილიპ ემნუელ ბახის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის აღსაზრდელები და მათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში შთამბეჭდავი ერთობლივი კონცერტიც გამართეს.

ქართველ ახალგაზრდებს წლეულსაც ძალზე მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა აქვთ მომზადებული გერმანელი მსმენელებისთვის — როგორც სოლო ნომრები, ასევე ანსამბლები. ცხადია, დასავლეთ-ევროპული, რუსი და ამერიკელი კომპოზიტორების ქმნილებებთან ერთად, პროგრამაში შეტანილია ქართული მუსიკაც — რევაზ ლალიძის „რონდოტოკატა“, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, მერაბ ფარცხალაძის „ჩანახატი“. „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობისთვის შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ სექსტეტისთვის განკუთვნილი რედაქცია, საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორების თენგიზ ნოზაძის სექსტეტი სახელწოდებით „ვალსი-ფანტაზია“ და ლალი საბანაძის „მუსიკა სუთი ინსტრუმენტისთვის“.

წლევანდელი საკონცერტო ტურნეც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გოეთეს ინსტიტუტის მეშვეობით გაიმართება.

**სიხალდაში მომსახურება!**

**გაქვთ კოგულაქსი სიდაბლის ბაბო?**

**დახეხეთ ახლავე!**

☎ 574 47 39 04

☎ 0790 30 94 35

**იური გურდიაშვილის კაბინეტი**

გთავაზობთ მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი, საშვილოსნოს კისტა და კისტომა, შარდის ბუშტის ანთეზა, ლვილის დაავადებები, ჰეპატიტი (მათ შორის C-ჰეპატიტი), ალერგიები, შიშორიტი, ფრონტიტი, მენსტრუალური ციკლის რეგულირება, პროსტატა, ადენომა, ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმა, ნაწლავის პოლიპი, ათეროსკლეროზი და სხვ.

მისამართი: აღმაშენებლის №195  
ჩანერა წინასწარ: ტელ.: 551-10-59-74  
იური გურდიაშვილის კონსულტაცია უფასოა!

**განხილვა**

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს ბაზარდუბის გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დანერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარია სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარია მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასახულებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591

**საქართველო** & მსოფლიო

ესტუბრეტი ჩვენს სიბჭ

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

<http://www.geworld.ge>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა  
გაზეთი ხელმძღვანელობს თბილისში მდებარე პრესის პრინციპებით.  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6  
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894

917722331389009